საგულისხმო ფრაზეოლოგიური გამოთქმაა, ქართულისთვის კარგად ცნობილი, სიხარულით ცას ენია, მისი ფარდი გამოთქმა მეგრულში: „ხილით დიხაშა კუჩხი ვაუდგუდუ=სიხარულით მინაზე ფეხი არ ედგა“ (დაწელია, ცანავა, 1991, 44) ანუ ცას ენია.

მეგრულ ზღაპარში „და დო ჯიმაშ არიკი=და და ძმის ზღაპარი“ (დაწელია... 1991: 92) მთქმელი დაზე გვეუბნება რომ „დაში სახელი ვაუჩქუ არიკის=დის სახელი არ იცის ზღაპარმა“ ხოლო ძმას ლევანი ერქვა. სავარაუდოდ, მეგრული ზღაპარები ნაკლებად იცნობენ ქალის სახელებს, მუჟამბარი სიკვდილის წინ იბარებს, თუ ასული ეყოლება, რაც უნდათ დაარქვან, თუ - ვაუ, მისი სახელი გაცხადებულია, მას მუჟამბი უნდა დაერქვას (დაწელია... 1991: 106). ზემოხსენებულ ზღაპარში არა მხოლოდ კონკრეტულ ზღაპარზეა საუბარი, არამედ საერთოდ ზღაპარებზე, რომლებშიც მართლაც იშვიათად თუ მოხდება სახელის მოხსენიება. უმეტესად სახელი, რომელსაც ზღაპრის გმირები ატარებენ, პირობითა: ომბოლია=ობლობაში გაზრდილი ბიჭია, სანატრია=სანატრელი, სიბერეში

ჭოლკლორი



ნატვრით შეძენილი შვილია. არის ცალკეული გამონაკლისი, როდესაც ზრაპრის გმირი თავგადა-სავლების წინ დედას მიმართავს: „ჰე, დედავა - ასე სახელი ქიგმოდვია, - ტარიელია! ჰე, დედად, ახლა სახელი დამარქვიო, - ტარიელიო!“ (ხუბუა 1937: 301) სახელის დაერქვა და შვილს საოცარი ძალა მიეცა და სანადიროდ წავიდა.

სასულეული სულეთად იწოდება, სულის მხარე, სადაც სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული დამკვიდრდება, ამის საპირისპიროდ მეგრულ ზღაპრები „სუმი ჯიმა კოჩიშ არიკი“, „სამი ქმა კაცის ზღაპარი“, წუთისოფელს ადამიანის ხორციელი ცხოვრების ადგილი ანუ სახორციელე ჰქვია (ხუბუა 1937: 111), ხოლო ადამიანის მოდგმას „კოჩიშ არსი=კაცის არსი“, მეგრულ ზღაპარში არწივი გიორგის აძლევს პირობას, თუ არ მოკლავს კაცის არსა არ შეეხება (ხუბუა 1937: 152).

მეგრული ზღაპრის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა გამოიკვეთოს ზღაპარი „გატყურია“, რომელსაც აქვს ქართული ზღაპრისთვის უჩვეულო დასასრულის ფორმულა, ეს არის ენიგმატური დასასრული: „ღუმა თექ ვორდია, ამდღა ამარ ვორექია; ზღვაშა ვებ-დენი ტკიბირით წყარი ვა მიბლენი, სათითის ღუმუ ვენუაკეთენი, ლიფშიშ ყურნით ვემნუოზუენი, ბირცხათ ვა დუღოგენი თეიშახ დუსუ ვემკორჭვებუდას = წუხელი იქ ვიყავი, დღეს აგერ ვარ, სანამ ზღვაზე არ წავალ, საცრით წყალს არ მოვიტან, სათითეში ღომი არ ჩავამზადო, ნემსის ყუნწით არ ჩავზილო, ფრჩხილით არ ამოვიღო, მანამ თავი არ აგტკივებოდეთ“ (ხუბუა 1937: 195).

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა დიდადაა დავალებული ხალხური სიტყვიერი ნიმუშებით, ამზრივარცისემდიდარიაძველიქართული სასაულიერო უანრის მწერლობა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაზე, რომელმაც თავისი იგავების კრებული ხალხური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ნიმუშებით აავსო. იგავების კრებულში ხშირია ზღაპრული სიუჟეტები, მეფე და მისი ვეზირების შესახებ არაერთი თხრობა გადმოუცია: იგავი „უტებესი და უმნარესი“ გადმოგვცემს ხალხური სიტყვიერი ნიმუშების მსგავს სიუჟეტებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია მეგრული ზღაპრის „ჟირი ჯიმა-კოჩიშ არიკი“, რომელშიც

მეფემ ითხოვა, მისთვის ემცნოთ ქვეყნად „არძოშ უგვანილაში, ირფელიშ უსქვამაში დო ირფელიში უმარჯვაში მუ რენ ქომინთია! = ყველაზე გაუმაძლარი (უმსუქნესი), ყველაზე ულამაზესი და ყველაფერზე მარჯვე რა არის, მითხარით“ (ხუბუა 1937: 220). ამის ანალოგიურია მეგრული ზღაპარი „ნძალიერიშ უმოსი ნძალიერიშ არიკი = ძლიერზე ძლიერის ზღაპარი“ (ხუბუა 1937: 261), სადაც ლეონის მიერ მოვლილი ქვეყნების მსგავსია დიდზე დიდი და მჯობნის მჯობნი ხალხი.

ქართულ ზღაპრებში არაერთი შემთხვევაა, როდესაც ხთონური არსებები ადამიანთა სუნს გრძნობენ, დევებს კაცის სუნი სცემთ, თუმცა მეგრულ ზღაპრებში ხშირად ჩაენაცვლება გამოთქმა: ქირსიანეშ სური ითხანსია = ქრისტიანის სუნი არისო (ხუბუა 1937: 232).


ილია ჭავჭავაძეს მოთხოვბაში „სარჩობელზაედ“ აქვს ნახმარი შესიტყვება „რაც უნდა იყოს, ღვთის სული ადამიანია“, ამ ფრაზას ამბობს პეტრე, როცა ნახავს, როგორ აკყავთ სახრჩობელაზე ყმაზვილი. ამის მსგავსია მეგრულში არსებული გამოთქმა: „მუდგა თინა ვარდას კოჩიშ შური რე=რაც არ უნდა იყოს, კაცის სულია“ (ბ.მ.), რითაც ხდება ხაზგასმა, რომ ადამიანი სწორედ ღვთისგან მის მსგავსად ჯერ გონისმიერი სულით არის რჩეული და მერე ხორცით.

ქართული ზღაპრებისთვის ცნობილია, როგორ აძლევს უშვილო ქალებს ან მათ ქმრებს ვაშლს ვინმე უცხო დედაკაცი ან წყალი მოიტანს და შემდეგ ამ ვაშლს ვინც შეჭამს მას ყველას შვილი მიეცემათ. მეგრულ ზღაპარში კი ვაშლი ციდან ვარდება: ცაშე, უშქურს მოლურთუმ = ციდან ვაშლი წამოსულა (ხუბუა 1937: 238).

რჯულისა კითხებიჩვენიგანხილვის სფეროადრეც ყოფილა (მოსია 2008'1), აქ მოვიყვან სამაგალითოდ მეგრულ მასალაში დაცულ ცნობას რჯულზე: რჯული ჯიშსაც გამოხატავს: ათენავა ჯგირი ცხენიშ რჯულიერია - ეს კარგი ცხენის რჯულიაო, ჯიშიაო (ხუბუა 1937: 249).

საინტერესოა თვალის მაგიური თვისება მეგრულში. ცხენოდ არაბის შეხედვაზე ადამიანები ბერდებიან, მაგრმა მან ვერ ავნო ზღაპრის გმირს იმიტომ, რომ მისი თვალები განსხვავებული რისხვის მატარებელია: „თოლი აფ თი ჯგუა უღამიანი, თოლი უღ მანგარი = თვალი აქვს ისეთი უინიანი, თვალი აქვს მაგარი“ (ხუბუა 1937: 251).

ეს მხოლოდ ცალკეული მაგალითებია თემის გარშემო. მიგვაჩნია, რომ მსგავსი კუთხით მეგრული ზღაპრის სახის მეტყველებითი ასპექტების შესწავლა, მთელ რიგ საკითხებზე ახალ წარმოდგენებს შეგვიქმნის, რაც კიდევ ერთი წინაპირობა იქნება საერთო ქართველური მითოსური აზროვნების შესავსებად.



2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, თბილისში ნამდვილი თეატრალური შემოდგომა იყო.

დამეთანხმებით, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობას იღებს სრულიად ახალი თეატრი, ახალი დასი, ახალი სახეები.

ფესტივალზე მოწვეული იყვნენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი თეატრმცოდნები. ხალხმა, შემოქმედებითმა ჯგუფმა ნამდვილად მიიჰყორ მათი ყურადღება, რასაც მოწმობს მათ მიერ გაკეთებული კომენტარები და წერილები.

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრის დასიშეიქმნა 2013 წელს, სადაც გაერთიანებული არიან, როგორც პროფესიონალი მსახიობები და მოცეკვავები, ასევე ს. ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის და შ. რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები.

თეატრის პირველი ნამუშევარი იყო უილიამ შექსპირის „პიესის“ რომელ და ჯულიეტა“ - ს მოტივებზე შექმნილი ერთ მოქმედებიანი დრამა „სიყვარულისთვის“. სპექტაკლის პრემიერა 2013 წლის 24-27 ოქტომბერს მუსიკისა და დრამის თეატრში შედგა.

ეს იყო მოტივაცია, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი თეატრალური დასი, რომელიც გააგრძელდა ამ მიმართულებით მუშაობს.

უკვე თანამედროვე ქორეოგრაფიული თეატრის



ამპლუაში შეიქმნა ახალი სპექტაკლი „გრავიტაცია“, სპექტაკლის პრემიერა და პრეზენტაცია გაიმართა 2014 წლის ივნისში, მუსიკისა და დრამის თეატრში.

„გრავიტაცია“ ახალგაზრდა შემოქმედთა გუნდის ნამუშევარია. რეჟისორი და ქორეოგრაფი თიკო ქოიავა, მუსიკა — ალექსანდრე ლორთქიფანძე, ხოლო სტენოგრაფია და კოსტიუმების მხატვრობა ეკუთვნის ლევან კვარაცხელიას.

სპექტაკლზე იმუშავა 13-მა მსახიობ-მოცეკვავემ, რომელთა დაუღალავმა შრომამ და

გუნდურობამ დიდი მოწონება და სიმპათია.

დამეთანხმებით, თეატრს, რომელსაც მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს, თანადგომა და მეცნიერობა სჭირდება. ჩვენ ეს ვიგრძენით. მადლობა ყველას. მაყურებელს, მეგობრებს, მსახიობებს, მუსიკისა და დრამის თეატრს, უბრალოდ, სიყვარულით ვიტყვი, მადლობა, დოი, მადლობა ლიკა, მადლობა შერი (ბ. დათო დოიაშვილი, ქ. ლიკა დგებუაძე. ქ. თინათინ შერაზადაშვილი).

გეგმები დიდია, წინ სხვადასხვა ფესტივალები გველის. ვიწყებთ ახალ სპექტაკლებზე მუშაობას. თუ რა სპექტაკლი — ეს ჯერ საიდუმლოა. თეატრის შემოქმედებით ჯგუფს ბევრი საინტერესო წიგნი აქვს, სპექტაკლის ნოვაციური გადაწყვეტის მიზნით.

თანამედროვე ქორეოგრაფიის თეატრმა გახსნა სკოლა, სადაც სხვადახვა ასაკის ახალგაზრდები და ეუფლებიან თანამედროვე ქორეოგრაფიის სხვადასხვა მიმდინარეობას. სკოლის საუკეთესო მოსწავლეები იქნებიან თეატრალური დასის პოტენციური მოცეკვავე მსახიობები.

მსგავსი შემოქმედებითი პროცესი ხელს შეუწყობს თანამედროვე თეატრის განვითარებას და ხელოვნების ამ დარგის პოპულარიზაციას.

ნინო კახიანი
თეატრის პიარ-მენეჯერი



“სამუზეულო” №12

მიმდინარეობს ერთნაღ „სამეგრელოს“ გამოწვერა



რუპრიკა „ვახტართი და ვახტართის“ გაგაცნობთ იმ მაგრელი ფახტართის, მცნობისა და მსაჯაბის საორთულ პიონერულ მონაცემებს, რომელიც საორთოს დამსახურებული ისტატის ცოდვას ვახტართი მიღებული ნარჩათებისათვის მიიღოს, არიან საორთოს დამსახურებული მცნობის მიღლობაზე. ვახტართის, რომელიც სამჯერ და მატჯერ იყვნენ ვაჟავანილი 33 საუკათასო ფახტართისათვის მორის, ვახტართის, რომელიც სამჯერ და მატჯერ იყვნენ ვაჟავანილი 300 და მატრი, გაითანას 100 და მატრი გოლი, ცალკეული ჩამაცნეატაბის საუკათასო სეინარები, ვახტართის, რომელიც 1975, 1981, 1986 წლებში ითამაშეს ევროპის ჩვეულების თასების მფლობელი; ვახტართის, რომელიც 1975 წლის სუპერსამის მონაცემის მომართავის მსაჯები. კატალოგში შესული ყველა მონაცემი აღეცულია 1990 წლის აირველი იანვრისთვის.

ამჯერად, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ იმ ბრწყინვალე მატჩე, რომელიც 50 წლის წინ 1964 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა. თბილისის „დინამო“ ტაშკენტში, მოსკოვის „ტორპედოს“ დაუბირისპირ-და და 4:1 გაიმარჯვა. საქართველოსთვის ეს დიდი გამარჯვება იყო და ჩვენმა ქვეყანამ ღირსეულად იზიდა კიდეც.

ეს არის „ოქროს ბიჭების“ თაობა, რომელიც გამოიჩინა და დღემდე სანატრელია თავისი ნაპერნკლოვანი ტემპერამენტით, ლამაზი, სანა-საობრივი კომბინაციებით, ბურთის მსუბუქად, თავისუფლად ფლობის უნარით.

1964 წლის სეზონში თბილისის დინამოელებს ეკუთვნით თავისებური რეკორდი: მათ არც ერთ გუნდს არ დაუმტეს ორ-ორი ორთაბრძოლიდან შესაძლებლობის 50 პროცენტზე მეტი, ე.ი. ორ ქულაზე მეტი. აი, როგორი შეფარდებაა ამ თვასაზრისით მეტოქეებთან: „სპარტაკი“, „ნეფტიანიკი“, „შინიკი“ და როსტოვის არმიები იძულებული გახდნენ ჩვენთვის დაეთმოთ მთელი ოთხი ქულა; „ზენიტმა“, „ვილგამ“, კიევისა და მინსკის დინამოელებმა, მოსკოვისა და ქუთაისის ტორპედოელებმა ჩემპიონებს „მოსტაცეს“ თითო-თითო ქულა; მოსკოვის „დინამომ“ ცსკა-მ, „შატილონებმა“, „მოლდოვამ“, „კაირატმა“ და „კრისა სოვეტოვმა“ კი შეძლეს ორ-ორი ქულის

ჩამორთმევა.

1964 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ ლირსებას იცავდა 18 ფეხბურთელი: ს: მეტრეველმა და გ. სიჭინავამ მონაწილეობა მიიღეს ყველა 33 მატჩში. ერთი თამაშით ნაკლები ჩატარეს ვ. ბარქაიამ, ჯ. ზეინკლიშვილმა და გ. ცხოვრებოვმა. შ. იამანიძემ და ბ. სიჭინავამ ითამაშეს 30-30 მატჩი, მ. მესხმადაი. დათუნაშვილმა – 24-24, ს. კოტრიკაძემ-23, გ. პეტრიაშვილმა-21, ა. აფშევმა-18, ვ. რეხვიაშვილმა-13, ნ. ლეჟავამ-10, მ. ხურცილავამ-8, ე. ხურცილავამ-8, ე. ხუციშვილმა-5, ზ. კალევმა და ნ. მაისურაძემ-თითო.

თბილისის დინამოელები და მოსკოვის ტორპედოელები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში (დამატებითი მატჩის ჩათვლით) ერთმანეთს შეხვდნენ 45-ჯერ, 23 თამაშში გამარჯვება წილად ხვდათ თბილისელებს, 13-ში მოსკოველებს, ხოლო 9-ში აღინიშნა ფრე. ბურთების სხვაობაა 94-77 „დინამოს“ სასარგებლოდ.

საბჭოთა კავშირის 1964 წლის პირველობაში თბილისის დინამოელები მოსკოვის გუნდებს შეხვდნენ რვაჯერ და მიაღწიეს საუკეთესო შედეგს „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ყველა კოლექტივს შორის. თბილისელებმა 16 შესაძლებლობიდან 11 ქულა დააგროვეს. მათ მოიპოვეს ხუთი გამარჯვება, ორჯერ დამარცხდნენ, ხოლო ერთი

ოქროს ბიჭები

მატჩი ფრედ დაამთავრეს. ბურთების სხვაობაა 13-10 თბილისელთა სასარგებლოდ. აյ არ შედის ტაშკენტის მატჩის შედეგი. ამ სეზონში თბილისელებმა ორჯერ გაიტანეს ბურთი თამაშის უკანასკნელ წუთზე. ეს მოახერხეს პირველი წრის მატჩებში „სპარტაკთან (ბ. სიჭინავამ) და „კაირატთან“ (მ. მესხმა) შეხვედრებში. ყოველივე

ამან „დინამოს“ ბალანსს შემატა ორი „ზედმეტი“ ქულა.

მხოლოდ პირველმა ორმა პრიზიორმა მოახერხა ამ სეზონში ზედიზედ ექვსი გამარჯვება მოეპოვებინა. სამ თვეზე მეტხანს — 11 აგვისტოდან 18 ნოემბერამდე იბრძოდნენ თბილისელები დაუმარცხებლად. ამ პერიოდში მათ ითამაშეს 14 მატჩი.

ოქროს მატჩი

1964 წელი. ტაშკანში, 18 ნოემბერი
მოსკოვის „ტორკადო“ - თბილისის „დინამო“

ძირჯი, რომელიმაც ვაძლოვავ ვაძლოვავ ვაძლოვავ



მიხეილ მასხი
სლავა მატრიალი
ვლადიმერ კარაბაი
ილია ლათუნაშვილი
შოთა იამანიძე
გორის სიჭინავა
გურამ ცხოვრაგოვი
ჯეგალ ზეინელიშვილი
ვასტან რახევიაშვილი
გიორგი სიჭინავა
სერგო კოტიკაძე

ჩარჩაია ვლადიმერი ალექსანდრეს ძე. 1937 წ.სო. თავდამსხმელი.

1957—1967 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში“. ჩატარა უმაღლესი ლიგის 226 მატჩი, გაიტანა 67 გოლი.

სსრკ პირველ ნაკრებში ჩატარა 2 მატჩი (1965.), გაიტანა 2 გოლი. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის მონაწილე.

1964 წელს მოიპოვა სსრკ ჩემპიონატის ოქროს მედალი. ბრინჯაოს მედლებს დაეუფლა 1959 და 1962 წლებში.

33 საუკეთესო ფეხბურთელის კლასიფიკაციაში 1964 წელს დასახელეს მეორე ნომრად.

თბილისის „დინამოს“ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი.

სიჭინავა ბორის შალვას ძე. 1935 წ.სო. მცველი 1958—1967 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“, სადაც უმაღლესი ლიგის 241 მატჩი ჩატარა, გაიტანა 6 გოლი.

1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს

მედლის მფლობელი. 1962, 1967 წლებში მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

1964 წელს შეყვანილ იქნა 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში.(მეორე ნომრად).

სიჭინავა გიორგი ვლადიმერის ძე. 1944 წ. სკო. ნახევარმცველი. 1960—1969 წლებში გამოდიოდა თბილისის „დინამოში“. უმაღლესი ჩატარებული აქვს 163 მატჩი, გაიტანა 8 გოლი.

სსრ კავშირის პირველ ნაკრებში ჩატარა 8 მატჩი (1964—1966 წლები), 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე.

1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. 1962, 1967 წლებში მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში დასახელებული იყო 4-ჯერ: 1964 (მეორე ნომრად), 1961, 1962, 1966 (მესამე ნომრად) წლებში.

თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველი.

რუსების სანაპიროზე

ცარმოვგუნის სისხლის შესკუბადის ისტორია

ოჩამჩირები სცენისმოყვარეთა პატარა ჯგუფი სპეციაკლს დგამდა. თეატრალურ ხელოვენებაში გაუთვითოდნენიერებალი მაყურებელი დაქანული აღავენებდა თვალს, როგორ ამოილო დამჩაჩა მსახიობები ეშრდივიამ და დაუშიზნა მსახიობ პარალიზას. თოვა გაისროლა.

კარალიფა დავარდა. მსახიობი ქურციკიძე კარალიფას თავზე გამარჯვებული ღიმილით დაიხარა... ერთხანს ასე იდგა, მერე კი, დაბნეულმა, დამბაჩას ხელი უშვა, მხრებში გაიმართა და კულისებს უმწეოდ გახედა. სიჩუმეში იარაღის ძირს დაცემის ხმა გასროლის დაგვიანებული ექოსავით გაისმა. კულისებიდან არ ჩანდა, პირველი რიგის მაყურებელმა კი სცენაზე სისხლის ლაქს კარგად დაინახა.

დამბაჩა დატენილი აღმოჩნდა. სპექტაკლის წინ იარაღში ტყვია ჩაუდიათ! მაგრამ ვის აძლევდა ხელს კარალიფას სიკვდილა?!

ვიღაცას, იქვე დაბაზში, მაშინვე გაახსენდა, რომ ქურციკიძები და კარალიფები ოდესალაც მოსისხლე მტრები იყვნენ. იქნებ ქურციკიძემ ძველი დაბრუნება გადაწყვიტა? ერთმა დაუფიქრებელმა რაღაცა წამოისროლა, მეორე შეეპასუხა, მესამემ ხანჯალზე წაივლო ხელი და ისევ გაისმა გასროლა: ერთი, მეორე, მესამე. რას იფიქრებდნენ უწყინარი საქმის მოთავეები, რომ მათი წარმოდგენა სისხლიან შეტაკებად გადაიქცეოდა... ოჩამჩირელები დიდხანს ეძებდნენ მიზეზს ამ აბსულდული ტრაგედიისა.

— ვერა და ვერ მიაკვლიეს. ვინ დარჩა მოგებული? არცდალუპული კარალიფას წათესავები, არც სიმშვიდე დაკარგული ქურციკიძეები. სისხლიანმა სპექტაკლმა ერთხანს შეწყვიტა ოჩამჩირეში მოყვარულთა დასის საქმიანობა, ასე რომ, მოგება მან ნახა, ვისაც ეს ახალმოდური გატაცება „თეატრით“ მაინცდამაინც თვალში არ მოსდიოდა. ხელისუფლება ლაბერალურად განწყობილ ახალგაზრდათა ნებისმიერი მიზეზით გაერთიანებაში საფრთხეს ხედავდა.

ყველაზე ადრეული ცნობა აფხაზეთში სცენისმოყვარეთა მიერ ქართული სპექტაკლის

გამართვისა გაზეთ „ივერიის“ 1885 წლის 17 იანვრის ნომერშია მოცემული. ინფორმაცია მწირია, მხოლოდ იმას გვატყობინებენ, რომ „84-ის დეკემბერსა და 85-ის იანვარში ოჩამჩირეში გამართულა 2 წარმოდგენა“. შემდეგ კი ცნობა უკვე სოხუმში გამართული წარმოდგენის შესახებ გვატყობინებს. იგივე გაზეთიდან ვიგებთ, რომ 1889 წლის 12 აპრილს სოხუმში შევიდა აწყურელის მიერ ფრანგულიდან გადმოქართულებული ერთმოქმედებიანი ვოდევილის — „მშივრების“ ჩვენება. მეცხრამეტე საუკუნის მინურულს მკვიდრი მოსახლეობისგან დაცლილ აფხაზეთის სანაპიროზე რა ენაზე არ საუბრობდნენ: ბულგარულად, ესტონურად, ბერძნულად, ყველაზე ხშირად კი ახალმოსახლენი და ადგილობრივი თავადები ერთმანეთს სათქმელს მაინც დამტვრეული რუსულით აგებინებდნენ. აფხაზურსა და ქართულს თითქოს ერიდებოდნენ კიდეც, ისევე, როგორც აოხრებული დაგადაშენებული მუხაჯირების ხსენებას. ალბათ ამიტომ წერდა გაოცებით ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტი, ქართულ ენაზე შედგენილი აფიშის დანახვაზე — სად სოხუმი და სად ქართული წარმოდგენაო. ვითომ საუბარი რომელიდაც აფრიკულ დიალექტზე ყოფილიყო. ის დრო იდგა, როცა ილია ჭავჭავაძე ჩიოდა, რა უნდა ელაპარაკო ქართველს, რომელიც მამა-პაპის მამულში, სოფელში დაბრუნებული გაოცებული კითხულობს — კეს კე ლა პანტაო. რა გასაკვირია, რომ პანტის სახელი



თეატრი

დავიწყებოდათ?... სკოლა, ეკლესია, საზოგადოება

— ქართული სიტყვის გამოდევნას უკელვან ცდილობდნენ. ერთადერთი, სადაც სათქმელს მშობლიურ ენაზე იტყოდი, თეატრი იყო. ამიტომ ქართული ინტელიგენცია დიდ დროს და ყურადღებას უთმობდა, ერთი შეხედვით, ისეთ მსუბუქსა და თავშესაქცევ საქმეს, როგორიც იყო სცენისმოყვარეთა წარმოდგენები. ეს წარმოდგენები ძირითადად საქველმოქმედო ხასიათისა გახლდათ – შემოსული თანხა ხალხის სწავლა-განათლებას ხმარდებოდა. ყოველივე ამის მნიშვნელობას კი ხელისუფალნიც გრძნობდნენ და ხელის შეშლას ყველა ხერხით ცდილობდნენ. დაჭირდებოდათ, ძველი თაობის ტრადიციებს მოიშველიებდნენ – აქამდა თეატრი ახალგაზრდობას რყვნისო, დაჭირდებოდათ და სოხუმის რუსულენოვანი მოხელეების პროვინციალიზმით ისარგებლებდნენ – ქართული თეატრი, თორემ ეგეც იტალიური ოპერა არ იყოსო... ფულის ფლანგვაა, სხვა არაფერი.

„ნუთუ ფული გადასაყრელი გაქვთ, ხომ გნებავთ ამ წარმოდგენას დაესწროთ?!“ ჩვენ რა თბილისში რომ სასწავლებელი იმართება და მერე ვისთვის, ქართველებისათვის?... სჯობს, მერწმუნეთ, ეგ ფული შეინახეთ და აი, ექვს ამ თვეს წარმოდგენას მართავს ღარიბ-ღატაკი ავადმყოფი ქალი, რომელსაც ეს ოთხი წელინადია ინახავს სოხუმი და მაშინ წაბრძანდით. სამადლო საქმეც არის და წარმოდგენაც უკეთესი იქნება?!“ -ასე აღნერს გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში კორესპონდენტი, თუ როგორ ცდილობდნენ მავანი სოხუმში ქართული წარმოდგენის ჩაშლას. წარმოდგენისა, რომელიც თბილისში ქალთა ქართული სასწავლებლის დასახმარებლად აფხაზ თავად შერვაშიძის მეუღლის – მარიამის მიერ იყო ორგანიზებული.

ისევ გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტს მოვუსმინოთ, რომელიც ქართველ თეატრალთა მდგომარეობას აგვინერს: „ჩვენ სცენარისმოყვარეებს არავინ შველით, არა ჰყავთ არც რეზისორი, არც სცენარიუსი, თვითონვე ჰყიდიან ბილეთებს, დგებიან კარებში, უჩვენებენ ხალხს ალაგს, შოულობენ რეკვიზიტს, ხშირად სკამებსაც. ამის გამო, წარმოდგენის დღეს, მთელი დღე უჭმელ-უშმელი დარბიან და რასაკვირველია ძალაზე დაქანცული გამოდიან სცენაზე“.

მიუხედავად ბევრი ამგვარი წვრილმანი თუ დიდი წინააღმდეგობისა, საქმე წინ მიინევდა. 1895 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში ქართული სცენისმოყვარეთა ამხანაგობა შეიქმნა. ფინანსური სირთულეების გამო, უწყვეტი თეატრალური სეზონების ჩატარება არ ხერხდებოდა. სამაგიეროდ დაიხვენა რეპერტუარი, რომელსაც ხშირად საყვედურობდნენ პრიმიტიულობას და რომელიც უფრო მწვავე და აქტუალური გახდა. ინტრიგებზე აგებული ფრანგული ვოდევილები ღრმა თემებმა შეცვალა.



ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“, ალექსანდრე ყაზბეგის „დილა ქოწილის შემდეგ“ და „არსენა“, ცოცხალი სურათები გრიგორ ორბელიანის „სადღეგრძელოდან“, ლევ ტოლსტოის „აღდგომა“, და ა.შ.

გახშირდა იმ დროის გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეთა გასტროლები: ნატო გაბუნია და მაკო საფაროვა, ვასო აბაშიძე და ლადო მესხიშვილი – მათ აფხაზური არისტოკრატია ინვევდა და მასპინძლობდა. აფხაზ თავადთა უმეტესობას ცოლად ქართველი ქალი ჰყავდა. მარიამ, ტერეზია, გაიანე და აღათი შერგაშიძეები, მარიამ დადიანი ანჩაბაძისა სხვადასხვა წლებში დიდი მონდომებით მუზრვეობდნენ თეატრის განვითარების საქმეს. აფხაზურ-ქართული მეგობრობა მაშინ საარაკოდ და სამაგალითოდ მიიჩნეოდა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ აფხაზი, გიორგი შერვაშიძე დაიყენა მიხაი ზიჩმა „ვეფხისტუასონის“ ილუსტრირებისას ავთანდილის პროტოტიპად.

1963 წელს ილიას სოხუმში ჩასვლას ქუთაისიდან მესხიშვილის დასის გასტროლები დაემთხვა. წარმოდგენის შემდეგ, შერვაშიძეთა ბაღში გაშლილ დიდ მაგიდასთან, იმ დროის საუკეთესო მოღვაწეებმა მოიყარეს თავი. თეატრალების სადღეგრძელო რომ შეისვა, დიდი ხნის წინ დალუპული კარალიფაც გაიხსენეს. დამბაჩაში ჩადებულ ტყვიაზე ჩამოვარდა საუბარი. ვილაცამ ვარაუდი გამოიტქვა, ხმადაბლა – იქნებ, ასე მოხერხებულად ეს ყველაფერი პოლიციის ჯაშუშმა მოაწყოო. მაგრამ მალევე შეაცვლევინეს საუბრის საგანი.

ბევრი არაფერი აშორებს იმ მშვენიერ საღამოს დღევანდელობასთან – სულ რაღაც საუკუნე, რამდენიმე საბერისნერო გასროლა, რომელმაც აფხაზთათვის სიტყვა „ქართველი“ მტრის სინონიმად აქცია.

კლავის და სამყაროს სიყვარულები



ვიდრე გივი სიხარულიძის ლექსებსა და წილებზე ვისაუბრებდეთ, ხამს ახლოს გაცნობა მისი პიროვნებისა ბიოგრაფიული ესკიზების მოშველიებით. ამჟამად სიპრძის ასაკშია, სამი შვილით და ოთხი შვილიშვილით დახუნდლული და ამაღლებული, „თბილისური ჯიგრით გაბრნყინებული“, „თბილისზე სიყვარულით გაგიჟებული“. დადის ამქვეყნად „სკიდან ფიჭად ამოღებული სიტყბო“, „მტკვარს დაირად დაკიდებული მთვარე“, „თბილისის ქუჩებში გაზრდილი და გალაფებული“, „თბილისის ქალაქს დაბადებული დარდიმანდი“, თბილისზე „ფიქრით გზააბნეული აშული“, „ამ ქალაქის ფიგარო“.

მხატვრული თხზულებების წერა 45 წლის ასაკში დაიწყო. ეს ისე არ გაიგოთ, თითქოს მანამდე თბილისის უბნებში ძველბიჭობდა, სუფრიდან სუფრამდის თამაღლობით იქცევდა თავს. თუმცა არც ამის უთქმელობა ეგების, რომ სიყმანვილიდანვე „ძირითადად ქუჩას გახლდათ ნაზიარები და თანატოლებში საქმის გარჩევითაც ლიდერობდა, სწავლა და წიგნის კითხვა თითქოსდა სათაკილო საქმედ მიაჩნდა“ (ნ. ცინცაძე). ბავშვობიდან გატაცებული იყო სპორტით, ცეკვით. ლეგენდარული ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლისტობას 16 წლის ასაკიდან ეზიარა. დამთავრებული აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ცეკვების უნივერსიტეტი. როგორც გივი სიხარულიძეზე წერენ: არ არსებობს მსოფლიოს რომელიმე ცეკვა, რომელსაც ერთნაირი მოხდენილობით არ ცეკვავდეს. მთელი 20 წლის მანძილზე იყო სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „თბილისის“ მთავარი ბალეტმეისტრერი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

გივი სიხარულიძე, ამასთანავე, საოცრად სპორტული პიროვნება გახლავთ. თავი გამოიჩინა ჩიგბურთში, ტანკარჯიშში. როგორც ნანა

ცინცაძე წერს: „იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წყლის თხილამურებზე დადგა, მისთვის არც მთის თხილამურები იყო უცხო“. ის არა მარტო უჩვეულო მოცეკვავე და სპორტსმენი იყო, არამედ შესანიშნავი მსახიობიც. ქორეოგრაფი, რეჟისორი, რადიონამყვანი. არც კინემატოგრაფიას დავიწყნია მისი ნიჭი. გივი სიხარულიძემ 1993 წელს ფილმში „უძინართა მზე“ ვანიჩკას მთავარ როლში ითამაშა. ამ ფილმში ბერლინის ფესტივალზე გრანპრი, ვერცხლის დათვი მოიპოვა, ასევე „ტავრია გრან-პრი“ სიჭის ფესტივალზე, საქართველოში ოქროს არნივი ერგო წილად, რსფსრ-ში კი „ნიკა“, ესპანეთში, ლას-პალმას მალიორკაში — გრან-პრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში სანდერსის ფესტივალზე გრან-პრის მფლობელი გახდა. ბათუმის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე მის მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა „ქუჩის დედოფალი“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ხოლო საერთაშორისო ფესტივალზე ფილმ „გათოშილ ბელურებში“ მთავარი როლის შემსრულებელმა ირინკა წერეთელმა პირველი პრიზი აიღო ბავშვის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

ვახტანგ ღლონტი წერს: „იშვიათად შემხვედრია კაცი, ასე რომ ამართლებდეს საკუთარ გვარ-სახელს... გივი სიხარულიძე ჭეშმარიტად სიხარულის დესპანია ჩვენს გაუბედურებულ საზოგადოებაში“. სწორედ ამიტომ უძღვნიან მას მშვენიერ ლიტერატურულ წერილებს, პოეტები კი — ლექსებს. კარგია, რომ მისი ნოველებისადმი მიძღვნილი წერილები (ვახტანგ ღლონტი, თემურ შალვაძე, ნანა ცინცაძე) ასევე — ლექსები (ვახტანგ ღლონტი, ვანო ცინცაძე, გუგული მგელაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ნანა ცინცაძე, გიზო ჭელიძე, რაულ ჩილაჩავა, ლალომრელაშვილი, თამარასლანიშვილი, თემურ ჩალაბაშვილი, ქართლოს კასრაძე, მიმოზა ცანავა, ირმა ქურასბედიანი) თან დაერთო გივი სიხარულიძის 584-გვერდიან რჩეულს — „ის+მე“, „აწყვეტილი სიცოცხლე“, რომელიც 2010 წელს გამოიცა. ვახტანგ ღლონტი ქალაქურად მომლხენ ბოჰემას უწოდებს გივი სიხარულიძეს, რომელსაც „გულში ანგელოზი უზის“ და უბრალო ხალხი ურჩევნია „სახელიან ხარაურას“, შესანიშნავი ლექსები უძღვნა ვანო ცინცაძემ თბილისის ამ განუმეორებელ კოლორიტს, „კაცი, რომელიც არავის არ ჰგავს, ზოგჯერ არა ჰგავს საკუთარ თავსაც“, „კაცი, რომელიც თვითონვე არის ცეკვაც, სიმღერაც, ლექსიც, ნოველაც“, „კაცი, რომელიც სხვებს ახალისებს, და თვითონ რჩება დარდის

შემოქმედი

ამარა“, „მისი სიცოცხლე არის ბოჭემა, ცხოვრება ნაღდი ყარაჩოლელის“, გუგული მგელაძე გივი სიხარულიძეს მიიჩნევს „მზისა და მთვარის ნაჯვარ კაცად“, ასევე — „მზის და მთვარის ნატეხად“. ნანა ცინცაძის მიხედვით, იგი „ფიქრებით დედამიწას გამოსცდა“, ვაჟა ოთარაშვილს სწამს, რომ გივი სიხარულიძე „უკანასკნელი მოპიკანია ძველი თბილისის“, „სხვა ჯიგარია, ძველი ძმობის ბოლო სარდალი“. აი, გიზო ჭელიძის ერთსტროფიანი ექსპრომტი: „ვისმენ შენს ნოველებს, ნოველებს არა, აქციებს, გის გეძახიან, ღმერთო, მეც გიშად მაქციე“. რაულ ჩილაჩავას ნატვრაა: „კაცი მისებრი ნურასდროს ნუ დაკლებია თბილის“, მერაბ ბერიძის ლექსს ჰქვია „დადის ქალაქში რაინდი კაცი“, ამ სათაურით უკვე ყველაფერია ნათქვამი, ხოლო მერაბ მეტრეველი „კალმის და სცენის რაინდს“ უწოდებს. გიორგი დვალიშვილი თავის ლექსს ასე ასრულებს: „ის მთელი ლამე ფურცლად თავის ნოველებს ათოვს“.

ზემოთ ითქვა: გივი სიხარულიძემ კალამს მოკიდა ხელი მხოლოდ 45 წლის ასაკიდან. მან ჯერ განვლო თავისი ცხოვრების ნახევარი გზა და... მწერლობაში შემოათენდა. ნოველების წიგნი მოსდევს: „ცირუნია“ (1997), „სევდიანი სკამი“ (1998), „ჩემი ოცნების ხე“ (1999), „დაობლებული სინაგოგა“ (2000), „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“ (2002), „სიცოცხლის მოწმობა“ (2003), „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“. 2010 წელს ქვეყნდება მწერლის ლექსებისა და ნოველების რჩეული (584 გვერდი). მასში შესულია 70 ლექსი და 170 ნოველა. 2012 წელს გამოვიდა ნოველებისა და ლექსების კიდევ ერთი კრებული „არაბულა“ და „თრობის სურნელი“ გივი სიხარულიძეს დაუფასდა ქართული ნოველისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილი და ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა.

მიმზიდველია გივი სიხარულიძის ლექსები. მისი ყოველი სტრიქონი დატვირთულია აზრით, გრძნობით, ტკივილით, დღევანდელი გაუსაძლისი ყოფის მნარე განცდით:

„მოდის და მოდის ახალი ფრაზა,
ლექსების გუნდი ცით დაირაზმა,
უყველი სტრიფი იღვრება ნაზად,
გრძნობების ტალღად და აიაზმად“.

გივი სიხარულიძის პოეზიას კვებავს სულის ძლიერების მოტივი, მხოლოდამითგადაირჩნს თავს ქართველი კაცი ამ უბედურ დროში. ეს მაშინ, როცა „მისხალ არ დაგვრჩა კაცობის, ქვენარმავლებად ვიქეცით“. ვიორთხებივით დავსრიალებთ მიწის ქვეშ, „გადავიქეცით მონებად და სავსე ფულის ქისადა“, „შემირცხვენია აქ ყოფნა თუ სულით არა სარ ძლიერი“. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა „ვამირანობდით, ვათანდილობდით გმირები, დღევანდელ ყოფას დაგვცინის ლორი, ჯორი და

ვირები“. რა აზრი აქვს ამქვეყნიურ ცხოვრებას თუ ქართველი ქართველს არ ჰეგავს, სცოდავს ერიც და ბერიც, რაინდის თვისებანი ლეგენდებში დაიმარხა, თუ ნაგვიხდა ქართული გენი:

„თუ ეველა ცოდავს ერიც და ბერიც,
ქართველი ერი სხვის ჩანგზე მღერის,
მაშინ რაღაა წუთისოული,
თუ წაგვისდა ქართული გენი,
თუ გადაიქცნენ დიდინოებად
ავთანდილ, ფრიდონ, ტარიელ, ლერი“...
გადაგვარება იქამდე დავიდა, რომ
„ქალი არ ვარგა არც ერთი ქალად
და ვაჟი აღარ ვარგა ვაჟად.
ეკრანზე იმდენი კოცხა და სექსია,
ვეღარ ვაიშველის მორალზე ლექცია.
ქალი ვაჟაცობს და ვაჟი კი ცელქია,
უკვე ამერია ვინ რა სქესია“.

გივი სიხარულიძე მინდიასავით განიცდის ხის მოჭრას, ტყეების გაჩეხვას და მის გასხვისებას თურქეთში: „ულვოოდ მოჭრილი ხე. გაყიდეთ საქართველო თურქეთში, ჰე, აბა, ჰე!“ ასეთ კოშმარულ ვითარებაში პოეტს უჩნდება კითხვა: „რად მოვედი, ანდა ვისოთვის, და საერთოდ რისოთვის, რისოთვის“.

ამასთანავე, გივი სიხარულიძემ კარგად იცის, რომ ამ წუთისოული მოვიდა სიყვარულისთვის, ადამიანისა და სამყაროს სიყვარულისთვის. სწადია, ამ სიყვარულში დაიფერფლოს კიდევც. მას არ უნდა ქართველის უბედურებით ბედნიერი იყოს მტერი:

„მზის სხივი — სანთელი,
ეველა ფერი ნათელი,
ბერი ბერი ბერი და
უბედური ქართველი“.

მის პოეზიაში, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი სტროფით გამოიხედავს აფხაზეთის ტრაგედია:

„აფხაზეთის ომი მცდარია თუ სწორი,
იქ მრავალი დაიღუპა ბოკეური და ლომი,
არ ვამხდარა დუნიაზე ქაცი მათი ტოლი,
აკი ცოდვით სულ დაღუმდა საკრავი და
დოლი“.

ზემოთ, ჩართული სიტყვა სამწუხაროდ, იმიტომ დამცდა, რომ, ჩევნდა სავალალოდ, ქართულმა მწერლობამ მიივინება აფხაზეთის ტრაგედია, მისი წარსული, ანმყოც და მომავალი. არა მარტო მწერლობამ, საერთოდ, ქართულმა ხელოვნებამ.

გივი სიხარულიძის ლექსებში თავისებურებითი თემები, თბილისის სილაზათე, წარმავლობის, სიკედილ-სიცოცხლის მწარე განცდა, ქალთა მშვენიერების განცდა და სიყვარული, სამოქალაქო მოტივები, მის ლექსებში, ისევეა როგორც ნოველებში, მკითხველი იხიბლება სათქმელის გულწრფელობით, უშუალობით, ყოველგვარი მხატვრული კეკლუცობის გარეშე, ანუ იგი არ ტვირთავს სტრიქონებს მოჭარებული

შემოქმედი

მხატვრული სამკაულებით, წარმოსახვითი ზიზილპილებით, მისთვის მთავარია სათქმელის არსის, იდეის, აზრის უბრალოდ და მარტივად გადმოცემა, რაც უფრო შთამბეჭდავს და შთამაგონებელს ხდის მის ლიტერატურულ პროდუქციას. ბევრი ლექსი აქვს გივი სიხარულიძეს მისთვის გამორჩეული და საყვარელი ადამიანებისადმი (ზვიად ცეცხლაძე, ზალ კახიანი, გელოდიკობალაძე, ანაკალანდაძე, ნინორამიშვილი, გელა მუხაშავრია, ლალო კვარაცხელია, თემურ შავლაძე, ნიკო ჯადუგიშვილი, ალეკო ოღლიშვილი, ანა ხვინთელიანი, ჯუტა წერეთელი, ეთერ კაკულია, უიული შარტავა, გურამ საღარაძე, ნანა ხუნდაძე, მარიამ ქვათაძე, ირაკლი ნასიძე, ნუნუ გაბუნია, ნუნუ დუღაშვილი, რეზო შუღლიაშვილი, ანტონ ინგოროვა, დათა ჩახვაშვილი, რეზო საღუქვაძე, ბუბა კიკაბიძე, ლეილა აბაშიძე, ოთარ ბრეგვაძე, ჯუმბერ ბერაძე) მიძღვნილი ლექსები, რომელთა რაოდენობა 27-ს აღნევს. რამდენი სითბო, სიტყვა, ალერსი, სიყვარული იღვრება ამლექსებში. მწერლის ერთ-ერთი ნოველიდან „ყომარბაზი მიქელ-გაბრიელთან, ერთხელ ვერაზე“ — ამოღებული სიტყვები რომ მოვიშველით: „კაცობის, ქალაქელობის, თბილისური ჯიგრის მატარებელი, სიკეთისათის დაბადებული კაცის“ პატივის მიგება ზემოთ დასახელებული ქართველებისადმი. მისვე სიტყვით რომ ვთქვათ: „სიყვარული ხომ გიუმაჟია, შეშლილთა ხვედრია“. ერთ-ერთ ნოველაში „სრულქმნილო მარადიულობავ“ შემოქმედი არც ამას მალავს: „სიძულვილის ქვეყანაში სიყვარულზე წერას ვინ მაპატიებს ან ვინ შემარჩენს?!“ საუბარია სამყაროსა და ადამიანებისადმი სიყვარულზე.

გივი სიხარულიძეს ვაჟკაცურად შეუძლია გაიმეოროს XI საუკუნეში ავიცენას ნათქვამი:

„ვირებში თუ ხარ, შენც უნდა ტლინები ჰეარო, ვირებს ჰეონიათ, ჩვენიაო მთელი სამეარო, ვირებში თუმცა მუდაშ ვირად მოქონდა თავი, მაინც გამიგეს, არაბული ტაიჭი ხარო“.

ზემოთ ნახსენებ ნოველაში მტკვინეულ კითხვას სვამის მწერალი: „რანი ვართ ეს ქართველები, როგორ გვეჯავრება ჩვენზე ნიჭიერი, გონიერი და კეთილმოსავი კაცი, როგორ შეგვიძლია ხოტბა შევასხათ და ცაში ავიყანოთ უნიჭობა, მით უფრო მაშინ, თუ მისგან რამეს გამოველით. რისი სინდისის ქენჯნა, ანდა რა სინდისზეა ლაპარაკი. ვცხოვრობთ მგლებივით — თუ ვინმე დასაგლეჯია — დავგლეჯთ, მოსაკლავია? — მოვკლავთ, შესაჭმელია — შევახრამუნებთ“. —

გივი სიხარულიძის ლექსებსა და ნოველებში თვალნათლივ გამოსჭვივის მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, სიყვარულის, როგორც სამყაროს გადამრჩენის, უძლეველობა. აკი ზემოთ ვახსენეთ, „რჩეულში“

170-მდე ნოველაა შესული. ამთავითვე ვიტყვით: ამ ნოველებს კვებავს ქალაქური და სოფლური ყოფა. ამასთანავე, ვერ შეხვდებით მხატვრულ ლიტერატურაში თემას, რომელიც მათში მეტნაკლები დოზით არ იყოს განსხეულებული. თუმცა უმთავრესად მაინც, ვახტანგ ღლონგის სიტყვით რომ ვთქვათ, „მან იცის ქალაქი და ქალაქმაც იცის იგი. იგია ამ ქალაქის ყოფის მთავარი პერსონაჟიც და მემატიანეც“. თითქოს ფრანგი ალფრედ მიუსეს შეგონებით გაისარვა მწერალი: „რომ დაწერო შენი ცხოვრების ისტორია, ჯერ უნდა განვლო ის ცხოვრება“. —

ნათქვამია: „ადამიანი მიყვება დროს და არა დრო — ადამიანს“ გივი სიხარულიძეც მიჰყება დროს და ქმნის ერთმანეთზე უკეთეს თხზულებებს. უპირველესად ხელში აიღონ მისი „რჩეული“ იმათ, ვინც თავზარდამცემად გვიჩიჩინებენ: კომპიუტერი და ინტერნეტი შეცვლისონიგნებს, ამიტომ სოფლად და ქალაქად ბიბლიოთეკები უნდა დაიხუროს. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნებს, ამაში გივი სიხარულიძის „რჩეულიც“ დაგიჭერს მხარს.

„რჩეულში“ მრავალი საინტერესო ნოველაა, რომელთაანალიზიში შევანახუანს. დავასახელებთ რამდენიმეს: „ის+მე“, „გარდაცვლილი ხე“, „სევდიანი სკამი“, „აწვეტილი სიცოცხლე“, „ცირუნია“, „სიცოცხლის ანარეკლი“, „ჩემი ოცნების ხე“, „დაობლებული სინაგოგა“, „მწერალი“, „შეურაცხყოფილი ნაძვის ხე“. „სვეტიცხოველი“, „სიცოცხლის მოწმობა“, „აკადემ-აკადემიკოსი“, „რა ვქნა, რა ვუყოს ქვეყანა“, „ყვავბულბულიანი“ და ა.შ.

თემურ შავლაძის ენით რომ ვთქვათ, გივი სიხარულიძის ნოველებში ძირითადად ქალაქისა და მის მკვიდრთა ფსიქოლოგიური სახესასიათებია წარმოჩენილი... ეს ნოველები კონკრეტულად ადამიანისა და ზოგადად, ადამიანობის სიყვარულს შთაგონებენ მკითხველს — თანალმობის, თანადგომის, თავდადებისა და უანგარობის, იმედგაცრუების შემთხვევაშიც კი.

აქვე მინდა „რჩეულიდან“ გამოვიხმო გივი სიხარულიძის ანდაზური გამონათქვამი, მრავალთაგან მხოლოდ თითო-ოროლა: „მე ლამაზი ზღაპარი მირჩევნია მწარე სიმართლეს“, „როგორც ყველაფერში არის არაფერი, ისე არაფერში არის ყველაფერი“, „მხოლოდ მოგონებით ცხოვრება სიკვდილის ტოლფასია“, „ჩვენი ცხოვრება ჰგავს შეწყვეტილ კინოსერიალს“ და ა.შ.

ფიფა მოსია

სოხუმის სახელმიწოდებულის უნივერსიტეტის
პუბლიცისა რუსულ მატერიალების განვითარების
პროცესის და ეკონომიკური დანართის მიზანის
სამართლებრივი მინისტრის მიერ მიმდინარეობის
დირექტორი

ლელა ნინეა

„აწევებილ სიცოცხლეს“
გივი სიხარულიძეს

თვეთრი რაშით დააჭინებ წლებია,
„აწევებილი სიცოცხლე“ ხარ ბედის,
გულის ძარღვი ისე გაგიყვანია,
სიექარული გამებავს შენ, დღეს ბევრის.

აგიანმავს წლები, მათით მაღლიანს,
სიამავით დააბიჯებ მმებში,
ამ ქვეეანას რომ უხდები ფაქტია
ენიგას აღღობ, ბოროტს ტეხავ მელებში.


მტრედის ფრთხით ააგვნესებ დაირას,
ცის კაბადონს უცემები ღვევით.
წუთში, წაში ხმლებით აგიაფია.
მიწის ბრუნვას უსწრებ კალმის რელსით.

გზად აფხიზლებ თუ კი სმინავს საზრიანს,
ქართულ სისხლსაც გაუღვივებ გენში,
ამიტომაც სიტევას მერი ფასი აქვს,
ჟელა ნიჭი დატეულა შენში.

არტისტული სიგიურ გრძნობს, შენს მალას,
მერე რა რომ შენც დაგათოვს თმებში,
თურმე, ზეცის საჩქარი ყოფილსარ,
ვერც კი გრძნობ, რომ მეარად დგახარ მთებში.

სელი ხელს და ბაგე ბაგეს ერთვება,
გულწრფელობა შენთვისაა წიდი,
სშირად თოვლში იაც აუვავებულა
და ქს არის ამ ცხოვრების წიბლი.

მიხურა-მოხურით მტკვარს კალაპოტს უერთებ,
შენ მზე ხარ და გარსებულავადაც იყლი,
დიდთან დიდი, პატარასთან პატარა,
„აწევებილი სიცოცხლე“- ხარ, გივი.



ქუთნალი
„სამუგროელო“
საქართველოს
თაარგლებს გარეთ
მცხოვრებ ქართველებს
გთავაპომით რემბრიას
„გმიგრანტის ღორიტი“

ემიგრანტები მოგვეორეთ თარიღი
შესახებ, რატომ ნახველით საზღვარგარეთ,
როგორ გრძნობთ თავს სამოგლოს გარეშე და რას
ეფუძნოთ ახლოგლებას.

ემიგრანტი ღედის ჩივილი
თბილისისენ გზავნილია ლექსის
ემიგრანტი ღედის ბედზე ჰევება.

ერთ დროს მუმუს აგლევილი შვილი,
უდედობას ჯერ ვერაფრით ხვდება.

რა მწარე მონატრება შვილის,
რამდენს უძლებს ემიგრანტი ღედა.

რაღა გინდა სხვა სასჯელი მეტი,
შვილი ვერ გცნობს, არ გიმახის ღედას.

არ გახარებს გაზაფხულის მოხველა,
სიტმრად მხოლოდ შვილის სახეს ხედავ

ეგრანიდან გაღიმებით ეტევი,

მენატრები, გენაცვალოს ღედა.

თვალზე მოძღვარს მონატრების ცრემლებს,
ღედა ჩუმი ღიმილით რომ მალავს,

არ არსებობს სანუგეშო სიტება,

ღედის გულს რომ დაედება წამლაბა.

დრო კი ისე უმოწეალოდ გარბის

გვჭირებით დროის აღმართს ქვიანს.

ღედებს ხვედრი ემიგრანტის ერგოთ,

მათ შვილებს კი ბებიები ზრდიან.

ფიქრი სათქმელს ვეღარ იტევს გულში,

ლექსი რითმად ეფინება ფურცლებს

ჟელა ღედა დაჭრილია გულში

სიშორეს და მონატრებას უძლებს.

არ ვუსურებ ჩემს მოსისხლე მტერსაც

ღედები რომ დააშოროს შვილებს,

ამიტომაც ვისაც ესმის ჩემნი,

ემიგრანტებს გვიძახიან გმირებს.

ნ ეიფიანი.



აფხაზეთის რკინიგზის ისტორია

აფხაზეთში პირველი სარკინიგზო ხაზი, რომელიც ასალი ათონის ფარიფორიაზე გადიოდა, კატარა, ვინოლიალეაგიან რკინიგზას წარმოადგენდა. გაღმოცემით ცენტრილია, რომ ასალი სარკინიგზო ხაზი ათონის მონასტრის სამაურნო საჭიროებისათვის 1880-იან წლებში დაიგო. თავდაპირველად ცხევეგშეგაული პოცეა გამოიყენებოდა. შემდეგ ამ ვინოლიალეაგიან სარკინიგზო ხაზზე ორთქმავალი ამოქანდა. რკინიგზის ეს მონაკვეთი დაახლოებით 30 წელი ფუნქციონირებდა. ბოლო მონაცემებით, ასალი ათონის რკინიგზის ხაზი მიტოვებული და დანგრეულია. ორთქმავალი, როგორც რაღიავია, დღესაც დგას ასალი ათონის გამოგარეონი.

მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის პროექტი, რომელსაც შავი ზღვის მიდამოებში, კერძოდ, კავკასიონით გავლას ითვალისწინებდა, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უნდა ამოქმედებულიყო. პირველი მსოფლიო ომის დროს მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც შავი ზღვის სარკინიგზო ხაზი (ტუაფსედან სოჭამდე) ეწოდა. ერთი შეხედვით სჩანდა, რომ ძალიან მაღლე დადგდებოდა მომენტი, როცა სამხრეთ კავკასიის ცხოვრება შეიცვლებოდა – შეიქმნებოდა სატრანზიტო მაგისტრალი აფხაზეთი, ბაქოს გავლით და არსებული წრიული გზა თბილისიდან ბაქოს მიმართულებით, ისტორიას ჩაბარდებოდა. მაგრამ აღნიშნული გეგმის განხორციელებას საბჭოთა რევოლუციამ შეუშალა ხელი.

გარკვეული დროის შემდეგ, მშენებლობა გაგრძელდა. 1923 წელს გაიხსნა მოძრაობა სოჭამდე, ხოლო 1927 წელს სოჭი-ადლერის სარკინიგზო მონაკვეთი გადასცეს საექსპლუატაციოდ. 1930 წლის დასაწყისში მაგისტრალური სარკინიგზო ხაზი აფხაზეთის ტერიტორიაზეც შემოვიდა.

1940 წელს, ოჩამჩირედან კვეზანის გავლით (ახლანდელი ტყვარჩელის რაიონი), გაიხსნა სარკინიგზო მონაკვეთი ინგირის სადგურიდან სოხუმამდე. 1942 წელს სოხუმი-ადლერის სარკინიგზო ხაზზე სამუშაოების დასრულებისთანავე განხორციელდა შავიზღვისპირეთის ზოლზე ახალი ლიანდაგის დაგება. მუდმივ ექსპლუატაციაში აღნიშნული გზა მხოლოდ 1949 წელს მიიღეს და აფხაზეთის რკინიგზა კავკასიის სარკინიგზო გაერთიანების წევრი გახდა.

შავიზღვისპირა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მთაგორიანი რელიეფი, გაუმაგრებელი სანაპიროები, არ

იძლეოდა აფხაზეთის მონაკვეთზე მშენებლობის გაგრძელების საშუალებას. განსაკუთრებულ სირთულეს ნარმოადგენდა მონაკვეთი ტუაფსედან სოჭამდე.

1950 წლის პირველი ნახევრიდან შავი ზღვის ტერიტორიაზედამათშორისაფხაზეთის რკინიგზამდე, სადგურების კაპიტალური შეკეთება მიმდინარეობდა.



აფხაზეთი

საბჭოთა მთავრობის ჩანაციქრი ასეთი იყო: ყველა საკავშირო მასშტაბის კურორტებზე უნდა ყოფილიყო რკინიგზის საუკეთესო სადგურები. არქიტექტურული თვალსაზრისით იმ დროს აშენებული ბევრი სადგური მართლაც საუკეთესო გამოდგა.


სოხუმის რკინიგზის სადგური, რომელიც დღეს ფუნქციადაკარგულია, თავის ძველ დიდებას მაინც ინარჩუნებს.

პოპულარულმა გამოცემა ბორედპანდა. გამოაქვეყნა მსოფლიოს მიტოვებული ადგილების მონაცემები, სადაც სოხუმის რკინიგზის სადგური მეთოთხმეტე ადგილს იკავებს. გამოცემამ სოხუმის რკინიგზის ვაგზლის ფოტოს ასეთი წარწერა დაურთო:

„რკინიგზის სადგური, საქართველო, აფხაზეთი. რკინიგზის ეს სადგური აფხაზეთში, ომის დროს, 1992-93 წლებში მიატოვეს უმეთვალყურეოდ. დაპირისპირებამ საქართველოსა და რუსეთს შორის რეგიონის იზოლირება გამოიწვია. სოხუმის რკინიგზის სადგური, რომელიც უპატრონონდაა მიტოვებული, თავის ძველ დიდებას მაინც ინარჩუნებს. მიუხედავად ჩამონაგრული ბათქაშისა და წითელი ხისგან დამზადებული ავეჯის სავალალო მდგომარეობისა“.

1960-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული სარკინიგზო ხაზი სრულიად იქნა ელექტროფიცირებული. მგზავრთა ნაკადი ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლებთან ერთად თითქმის ყველა სადგურიდან მოძრაობდა საგარეუბნო მატარებლებიც. მოძრაობის გაზრდის პარალელურად საჭიროება მოითხოვდა დამატებითი ხაზის გაყვნის აუცილებლობას (თავიდანვე აფხაზეთის რკინიგზა ერთლიანდაგიანი იყო), მაგრამ ამ საქმის განხორციელებას რთული გარემო პირობები უშლიდა ხელს. აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზა ერთლიანდაგიანი დარჩა, რის გამოც მატარებლები სადგურებზე დიდი ხნით ჩერდებოდნენ.

1981 წლის მონაცემებით, სოხუმიდან სოჭამდე ხუთი ელექტრომატარებელი მოძრაობდა. სოხუმიდან ტყვარჩელამდე – ორი. გარდა ამისა, ფუნქციონირებდა



ელექტრომატარებლები – სოხუმი-წყალტუბო და სოხუმი – ზესტაფონი – საჩხერე. ეს იყო ადგილობრივი მიმოსვლის მატარებლები, ე.წ. „ელექტრიჩები“, რომლებიც განრიგის მიხედვით თითქმის ყველა სადგურსა და ბაქაზე ჩერდებოდნენ.

ტყვარჩელის გადასარბენზე, სადგურ ტყვარჩელიდან აკარმას სადგურამდე მეზავრების გადაყვანა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. მატარებლების მოძრაობა აკარმამდე მგზავრთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე აიკრძალა, რადგან რკინიგზის ეს მონაკვეთი დაზიანებული იყო და შეკეთებას საჭიროებდა.

რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთი თავისი სატრანსპორტო ფუნქციით რეგიონალური მნიშვნელობისაა. აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და მასთან რკინიგზის აღდგენისა და განვითარების საკითხი მდინარე ენგურის სხადასხვა მხარეს მცხოვრები ადამიანების ურთიერთობის განახლებისა და კეთილგანწყობის დამკვიდრების ხელშემწყობად უნდა განიხილებოდეს.





თუთაშ სინთეთ მოვარაუელ ქუჩას...

თუთაშ სინთეთ მოვარაუელ ქუჩას
მა დო ჩქიმი მარდუალი მივშით,
წისქვილს ვორდით დოვირთუდით უუჩა,
ოსისხეთი ფარა ხოლო ქივშით.

ჭიჭე ომბოლქ ქეწომჭკირეს შარა,
თის ქემევჩით ჩქინ ნასისხერ ფარა...
თეშ უბირდე ზღვა_დიხა დო გოლეფს,
ჩილამურეფქ ქომიცეს თოლეფს!..

ბებიქ უწუ:- ჩქიმი ჭიჭე ჭკვერი,
ვეშმოჭკუორდე თე მურიცხამ სერი,
სამარგალოშ დიხა-წუარი, ქუა,
თეშ გიორსი, გოლვაფირო, სკუა!!.

შარა... ვდარდენქ, გურ ვამფეთ ქუნს შშვიდას,
ვავორწუექი სქან მარდუალ დიდას...
ომბოლქ უწუ:-ვადმარულუ ღუმა,
მონატრუდე ჩქიმი დიდა-მუმა...

თან ვშკირენდე, ლუკმა მითინქ ვავჩუ!..
ჭიჭე ვორექ, მარა გურსინ მაჭუ...

სულის გამოძახილი
გურს მაჭუ დო თოლევ ირო მანგარს,
მარა მუთუნ ვაგოვტახუნს მარგალს!

ცოცხალ ვორექ, ბირულს მიღუ ჭეანა,
ელმარჩქილე მარდუალიშ ნანა...

ჭიჭე ოშბოლ შკირენულო გერდუ,
თუთარჩელას უნათენდუ სახე,
ანგელოზიშ სიტუევ თეში კდერდუ,
თვითონ ხოლო ქანგარინუ დაჭე.

ქომუფერეთ, მოლართია უქანა,
მარა ოშბოლე მუთუნფერო ვედუ,
თუთაშ სინთედ მოვარაუელ ქუჩას
ჩეინ წოხოლე ჩილამურამ გერდუ...

ქვალონი. 6. X. 2013-წ.

სალხი იუოს კარგად

ზვავი მჩუმქრავს, ვიუინები!!.. რა ვქნა?!
ის აღარ მეავს, ვინც მირწევდა აკვანს...
ვეღარ ვსატავ, ვეღარც ვმართავ სტრიქონს!
ისე ჩაგქრი, მკვდარი ვიუო თითქოს...

არ ვუვარგართ, არა მეთქი არა!
თანაც ჩემი მკვდარი სახე ზარავთ!
რას ვაშავებ ობლად ვსუნთქავ ჩემთვის...
მწამს სამშობლო, როგორც მამა ღმერთი!

მავრამ არა! მაწამებენ ისევ!..
გელი მტკივა, სულს ვარაძი მივსებს!..
ჯვარზე მაცვეს უძოწეალოდ მკლავენ!.
ცწედრად ქცეულს სადღაც ბნელში მნთქავენ...

ასეთია ჩემი დღე და ღამე!..
ამათ სელში მზეს ვერ ვნახავ სვალ მე...
რაღას ვიზამთ სალხი იუოს კარგად.
მე...სიცოცხლე რა ქვად მინდა, რა ქვად?!

არც გამზრდელი, არც არავინ არ მეავს!..
მწუხარება და ტკივილი მმარხავს...
მავრამ მეავს ის, ვინ ღმერთივით მიუვარს!
ის...მკვდარ გულზე დამასვენებს მიხავს...
31.XI.2914წ.

სულის გამოძახილი

2014-წ

ობლად დაშვექს თოვლდაფენილ მიწაზე,
მიმატოვეს, ვით სწეული ლეკვი!..
ახლა პირმშოს თბილ აკვანში ვინც არწევს,
ვინც მასში წევს, ნეტავ მათ მზეს, მეგი!

პო... პო, ვიცი, აკვნის ჩვილი მე არ ვარ,
მაგრამ გული მეც ჩვილივით მიცემს!
როგორ შეურდა, რომ შშობლებთან მეარა...
ეს ტკივილი სევდის აკვანს მირწევს!..

თავზე მათოვს, ვივერცხლები ფიფქებით,
ვითოშები, მილურჯდება ხელი...
როგორც ვატეობ, წვალ მკვდრებს შორის ვიქნები,
სული ბორგავს და გულს მიკრთობს ღელვით!!.

უჩემობა ალბათ ვინმეს გულს დასწევებს...
რადგან მოვკვდი, შემიბრალებს ვიღაც...
მაგრამ... ღმერთო, ცრემლთა დელგმას თუ დასცხებს,
არ მივიღებ მის ცრემლსა და მიხაკს!!!

არ მჟირდება არც ევავილი, არც ცრემლი!
თოვლის მფრქვევი ცა გულწრფელად მიგლოვს.
მარტოობის ცივ აკვანში ნარწევი,
ობლებს ვუძღვნი თითოეულ სტრიქონს.

წვიმდა...

IV

გუშინ დიდუბის პანთეონში გახლდი,
გულზე ვარდები დავუსვენე გრანელს.
ავად ვიუავი, უფრო ავად გავჭდი,
ვიგრძენ, -ცხოვრებას მეც ტანჯვაში გავლევ...

სევდა-ტკივილი აგრიგალდა ჩემში!!.
სიკვდილს მოსუურდა შავი ბაგით კოცნა...
წვიმდა... ცის ცრემლი გვენთხეოდა თქემით
მე და მიწაში გულჩამარზულ მგოსანს...

2014წ.

სულის გამოძახილი

დაწერილია აფადმუოფობის დროს

სადღაც ვიღაცას მე ვუკარდი, ერთ დროს...
ახლა თვით შენც კი არ ვიუკარვარ, ქრისტეო ღმერთო!..
აღარც კი ვიცი, რა დაწერო, უფალო, რა ვთქვა?!
გული მომიკვდა, მწუხარების წუკდიადმა შშთანთქა!..

მშიმე ცხოვრება მასვენია, ვით შავი ლოდი!..
სავსმა დამფარა, ჩემს საფლავთო არავინ მოდის...
მაგრამ...რას ვაშბობ?! განა მართლა მკვდარი ვარ ახლა!
მტერს ეგონება მზის ამოსვლას ვერასდროს ვნახავ.

არა და არა! არ მოქვდარვარ, ჯერ კიდევ აქ ვარ!
თუმცა... ხვალ ან ზეგ დამირწევენ სამარის აკვანს...
დროა ვტიროდე, უველიმ დამუშო გამზრდელის გარდა!..
გულს ამოვიჭრი, დავუსვენებ საფლავზე ვარდად...
შუალამე. თბილისი. 29.XI.2014-წ.

დედა

დედას სცივა, ენატრება ცეცხლი!..
მე...მე ვკვდები, ერთად ვანთხევ ცრემლ_სისხლს...
დედას შია, ნატრობს პურის ნამცეცს!..
და...მე გულზე შავი ლოდი მაწევს...

ვერც პურს ვაწვდი, ვერც ვეიდულობ კაბას!..
მართლაც დროა, რომ ვიშლიდე საფლავს...
შენს ჭაღარას შემოვევლე დედა!
გული მტკივა, ვერ მოვდივარ შენთან...
2014წ.

გულში ჩავიკრავ და დავლოცავ მწუხარე დედას...
შენ კი, მაძაო, მუხლს მოვიური, დიდება შენდა!
ვნახავ მამახემს და ვემთხვევი არწივის ფრთებზე!
შვილის ტკბილ ალერისს დავუტოვებ ჭაღარა თმებზე.
ვიცი, უველთვის ვეხსომები გულმკვდარი შვილი...
და...ვეხსომები მამასავით საუკარელ თბილისს.



მკვლევარი

მეგრული ენის მესაიდუმძის ცრაგიკედი აღსასრული

დაციცა ფიჭი

ნიჭიერი მწერლისა და მკვლევარის, თავდადებული მამულიშვილის დანიელ ფიფიას შემოქმედება მრავალმხრივ ღირსშესანიშნავია. მშობლიური ქვეყნისა და კუთხის უსაზღვრო სიყვარულით ანთებული ახალგაზრდა, მიუხედავად იმისა, რომ აკვანშივე მიღებული დამბლისგან მარჯვენა ხელ-ფეხნარობმეულია, ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შედეგ, შესაშური ენერგიით ენაფება ლიტერატურულ და მეცნიერულ საქმიანობას, კალმითა და სიტყვით ქედუხერელად იბრძვის იმპერიის კლანჭებისაგან საქართველოს გასანთავისუფლებლად.

1924 წლის აგვისტოში, თბილისის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი, 27 წლის დანიელ ფიფია, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო, სრულიად უდანაშაულოდ დახვრიტეს და 80-იან წლებამდე მისი აქარად ხსენება ფაქტობრივად აკრძალული იყო.

დანიელ ფიფიას დაბადებიდან 100 წლისათვის დღეებში (ქუჯი-ფარნავაზისა და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების დიდი მონდომების შედეგად იუბილე შესანიშნავად ჩატარდა ქ. წალენჯიხაში 1996 წლის 14 ივლისს) ქუჯი-ფარნავაზისა საზოგადოების უურნალ „აია“-ს და სხვადასხვა გაზეთში გამომზეურდა მიწაში ნამარხი თუ ბნელი სარდაფების კუთხე-კუნტულებში მიჭუჭული მისი ლექსები, პოემები, ზღაპრები და ცალკეული წერილები თუმცა ბევრი რამ მომავალში გამოსაქვეყნებლად დარჩა.

ამ რამდენიმე წლის წინათ დანიელის ბიძაშვილის შვილის იგორ ფიფიას სახლში საგულდაგულოდ ძიებისას, სხვა მნიშვნელოვან წერილებთან ერთად, გამოვავლინეთ ეს ნაშრომიც: „მასალები მეგრულ-ქართული ლექსიკონისათვის“.

„მასალები მეგრულ-ქართული ლექსიკონისათვის“ ჩაწერილია ათიოდე სანტიმეტრის სიგანის მინიატურულ უბის წიგნაკში, რომელიც დანიელს თვითონვე აუკინძავს. სიტყვები ისე წვრილი ასოებითა ნაწერი, რომ მის ამოსაკითხად საჭირო გახდა ლუპის გამოყენება, რამდენიმე სიტყვა მაინც ვერ ამოვიკითხეთ. წიგნაკის გარე კანის ფურცლებიც ძალზე გაცვეთილია ხმარებისაგან. ეტყობა, დანიელი ამ წიგნაკს

თან დაატარებდა და სახელდახელოდ ავსებდა. ზოგიერთი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობა მას უთუოდ უნდა სცოდნოდა, განმარტებული არ არის. იგი, ალბათ, ამ სიტყვის გარშემო ფიქრის და საერთოდ, ამ მასალების სრულყოფილ ლექსიკონად ჩამოსაყალიბებლად დროს იტოვებდა.

ცხადია, რომ დასცლოდა, იგი სხვადასხვა ადგილას გაფანტულ ჩანაწერებს მოაწესრიგებდა, სიტყვებს შესაბამისი თანმიმდევრობით განალაგებდა, მაგრამ შრომა ვერ დაასრულა და ჩვენც სალექსიკონო მასალები უურნალ „აია-ში“ (1, 1997წ.) მკითხველს ისე მივაწოდეთ, როგორც მის ჩანაწერებშია. ამასთანავე, გავითვალისწინეთ მეგრულის კარგად არმცოდნე მკითხველის ინტერესები და სიტყვებს ჩამოვაცილეთ ნახევარსმოვნების აღმნიშვნელი ასო-ნიშნები...

გამონაკლისი მხოლოდ იქ დავუშვით, სადაც აუცილებლად მივიჩნიეთ. აქა-იქ ზოგი სიტყვის მნიშვნელობა ვერ ამოვიკითხეთ და ვერც განვმარტეთ, მაგრამ მაინც დავტოვეთ...ვინ იცის იქნებ სხვამ დააზუსტოსო ან კიდევ იქნებ ჩვენვე მოგვცემოდა საშუალებას ჩაგვესწორებინა წიგნად გამოცემისას.

XX საუკუნის გამდეგს პროფესორ იოსებ ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკა“ დართული მცირე მეგრულ-ქართული ლექსიკონის შემდეგ დ. ფიფიას ეს ნაშრომი მეგრულ-ქართული ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი პირველი ცდაა და იგი 90-იან წლებში გამოცემული მეგრულ-ქართულ ლექსიკონთა შორის პირველად გამოქვეყნდა, რაც ასე ვთქვათ, კარგი ფეხის გამოდგა, იმავე 1997 წელს ზედიზედ ცალკე წიგნებად დაიბეჭდა ნარსულში გამოჩენილი ენათმეცნიერის პეტრე ჭარაიასა და დიდებული მამულიშვილის გივი ელიავას „მეგრულ-ქართული ლექსიკონები“, ხოლო 1998 წელს „900 მეგრული სიტყვა“.

ვარაუდშიც გაგვიმათლა: სალექსიკონო მასალებს შესანიშნავი პატრონები გამოუჩნდენ ბატონ კახმეგ კუდაგასა და ბატონ გივი ბოჯგუას სახით. განუმარტავ სიტყვათა ახსნით სალექსიკონო მასალებს სასარგებლო კვალი დაამჩნია ბატონმა ინდიკი კვევეგესკირმა, ნაშრომის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში ჩვენც მივიღეთ

მონაწილეობა და ვფიქრობ ამ საერთო ძალისხმევაშ უდროოდ დაღუპული მამულიშვილის ნაოცნებარს ნაწილობრივ მაინც შეასხა ფრთები.

აღნიშნული ლექსიკონი წარმოადგენს გადამუშავებულ, რედაქტირებულ შრომას. ამასთან, დადგენილია განუმარტავ სიტყვათა მნიშვნელობა და ვარიანტებიც კი. ამდენად, მკითხველს საშუალება ეძლევა მეგრულ-ქართულ ლექსიკონის ერთ-ერთ საინტერესო გამოცემას გადაავლოს თვალი, სხვა ლექსიკონებში აღნუსხული, ძველი ქართული ლექსიკის შემამკელი სიტყვები გაიზიაროს და ახალი მარგალიტები ამოკრიფოს ქართული ენის ულრმესი შრეებიდან.

**თამაზ ფიჭია
1999წ.**

„...მეგრული ენა ლინგვისტურად თავისებური ენა არის, ქართული ძმა ენა და ამიტომაც დიახ ძვირფას მასალასაც გვაძლევს როგორც ზოგად განცენებით ენათმეცნიერებისათვის, ეგრე თვით ქართველთა სიტყვიერებისათვის, რადგან ერთი უსაჭიროესი წყაროთაგანია ქართული ენის თეორიის გამოსაკვლევად და ნამდვილ გრამატიკის დასაფუძნებლად და მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონტის გაფართოებას, ჩვენი დედა-ენის შეგნებას და გაფართოებას...“

ნიკო მარი

„ყოველი ტომი ქართველთა სახეობითი ასპექტია მთელის: საქართველოსი, ე.ი. ისეთი ნაწილი, რომლის თავისებურებაში მთელიც ცნაურდება: საქართველო.

...ჩვენ, ქართველებს, კიდევაც შეგვიძლია ვიამაყოთ სხვა ხალხთა პირისპირ, რომელთაც ასეთი შესხეულება ერისა და ტომის იშვიათად მოეპოვებათ. საქართველოს სიძლიერე სწორედ მის ტომთა ცოცხალ თავისებურებაშია.

რიგოლ რობაჭიძე

„...მონათესავე მეგრულიდან რომ სიტყვა ქართულ ენაში შემოვიდეს ან პირიქით—ეს სასურველია. ეს პროცესი არამც თუ უნდა შევაფრხოთ, ორგანიზაციულად უნდა განვაყითაროდ ენის მრავალფეროვნების გულისთვის“.

ნიკოლო მირიაზიძე




თამაზ იჯავილი

შავი ზღვა

ეძღვნება გაგრას და გაგრიდან ლტოლვილს ჩემს სულიერ დას ქალბატონ მიმოზა ფირცხალავას.

იმ სილამაზის იდუმალება, გამოუთქმები ენით, აღუწერები ბექბის კარი ეს ხომ შავ ზღვაზე მელის, ზღვის პერზაუის ცეკვის სამით სულს ეფინება შევიდი, ნაზად ლივლივებს ლურჯი ტალღები წენარი ტალღები დილის. სან გორდებიან მთად აზიდული აღელვებული, დიდი, ტალღები მებრძოლი სულის, მჩქეფარე, შმაგი, გიუ. ლამეული ზღვის ტკბილი ხმაური ნავი ნაზად მქროლი, ცაში ვარსკვლავი მოიძედეა და სიუვარების სწორი. წვიმების შემდეგ თუ ცისარტეულაც შემოურთდა სილვებს, ნაირფერადი ცის სატულება ოცნების გზისკენ მიტევს. და მერე მინდა, რომ უსასრულოდ ვიოცნებო და ვიუ, ახდება ნეტა ტკბილი ოცნება? მართლა ახდება? ვითომ? გაგრა ოცნება და სიუვარები, შევნიერების კიდე, ვინ დამიკარგა შენი ედემი? როდის მიმღებ კიდევ?

ნიკო ფლოთეანი სერვაგის ათი წელი რკინიგზაზე



მიღხავთ დაგადებული რვა წლის ნიკო ფლოთეანაშვილი, თბილისში, სოხუმის გაიგრა-
ფიების კალანდაროვების ოჯახი გააგზავნეს
მსახურად. იქ მან პირველი ნახატი შექმნა.
შემდეგ სამხატვრო სახელოსნოს გამართვა
სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. მთელი ცხოვრება
უკიდურას გაფიქვებაში გაატარა. სასხალისა
და სალებავების საფასურად ხატავდა აგრეგსა
და სურათებს დუქნების, ლუდჩანებისა და
სახელოსნოს მეაატროვებისთვის.

მისი ტალანტი 1912 წელს ფრანგმა მხატვარმა
მიშელ ლე დანტიუმ და ძმები – კირილე და ილია
ზდანევიჩებმა აღმოაჩინეს და აქტიურად დაიწყეს
მხატვრის პოპულარიზაცია. მიშელ ლე დანტიუმ
ფიროსმანი თანამედროვე „ჯოტოდ“ „შერაცხა“. 1920-
იან წლებში, როცა პიკასოს ფიროსმანის ნახატების
რეპროდუქციების ალბომი უნახავს XX საუკუნის
უპირველესი გენიალ, უთქვამს. მოგვიანებით, 1972
წელს, პიკასომ ფიროსმანის პორტრეტიც კი შექმნა.

ნიკო ფიროსმანიშვილის სიცოცხლის ბოლო
წლები სადგურის უბანში, ფიროსმანის ქუჩა №29-ში,
კიბის ქვეშ გაატარა. აქედანვე ნაიყვანეს
საავადმყოფოში. გენიალური მხატვარი 1918 წელს
გარდაიცვალა. დაასაფლავეს, როგორც უპატრონო

მიცვალებული. მხატვრის საფლავი დღემდე
უცნობია.

ფიროსმანის ბიოგრაფიის მთავარი დეტალები
ყველასთვის ცნობილია. ალბათ ბევრი ადამია-
ნისთვის აღმოჩენა იქნება ფაქტი, რომ თბილისში
ახლადჩამოსული ნიკო თითქმის 10 წელი
რკინიგზაში მუშაობდა. ეს მისი ცხოვრების ერთ-
ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო.


1883 წელს ნიკო ფიროსმანი თბილისის რკინიგ-
ზის სადგურში, სამსახურში მიიღეს. ამის შესახებ
პირველი ცნობა ეკუთვნის ანა ბექოსოფოვას:
„როდესაც ნიკო კარგად დავაუკაცდა, მაშინ იგი
რკინიგზაზე შევიდა კონდუქტორად“-ო. თემო
ჯაფარიძე წიგნში „ნიკო ფიროსმანი“ წერს. რომ

ეს საინტერესოა

ნიკო პირველ ხანებში დარაჯად მუშაობდა. ჰქონდა სამორიგეო ფარდული, ხის ტახტი, მაგიდა, ორი სკამი და ჯამაგირი. ხანდახან ხატავდა. ნიკო თითქოს უკმაყოფილო არ იყო, ხატვა აზრს აძლევდა მის ანონიმურ ყოფას. ერთხელ უფროსმა შეუსწრო ხატვის პროცესში. ნახატს ხელი დაავლო და გარეთ მოისროლა. გაცეცხლებული ნიკო ყელში სწვდა. თანამშრომელმა მოაგო თურმე გონს, გააკავა. ამ შემთხვევის გამო, „უკიდურესი უხეშობისთვის“ ნიკოს სამსახურიდან დათხოვნა დაუპირებიათ და გაუთავისუფლებიათ კიდეც (მამია ჩორგოლაშვილის გადმოცემით, ნიკოს თამარის პორტრეტის დახევის გამო ზედამხედველზე საცემად გაუწევია).

მოგვიანებით ნიკო ისევ რკინიგზაში ბრუნდება. „1894 წლამე მუშაობდა რკინიგზის სხადასხვა სამსახურში. ხან დარაჯი იყო, ხან სატვირთო მატარებლის მემუხრუჭე, ხან კონდუქტორი, ხან გზის ოსტატი, ხან ტფილისში ცხოვრობდა, ხან მიხაილოვში, ხან ელისავეტოპოლში. რკინიგზის დიდ ქსელზე, რომელიც მთელი კავკასიის ქალაქებს აერთიანებდა, უბრალო მოსამსახურეები მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ“, - წერს თემო ჯაფარიძე.

რკინიგზაზე არსებული მკაცრი რეჟიმის და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო, ნიკოს ჯანმრთელობა შეერყა. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფიროსმანაშვილი სამუშაოდ თბილისში გადასვლას ცდილობდა. ამ მიზნით ელისავეტოპოლის სადგურის უფროსისათვის რამდენჯერმე მიუმართავს - ჯერ პირობების გაუმჯობესების, შემდეგ კი შვებულების მოთხოვნით, მაგრამ ნიკოს წერილებს შედეგი არ მოჰყოლია. გამოსაჯანმრთელებლად ხანგრძლივი



მკურნალობა, დასვენება და ფული სჭირდებოდა. საბოლოოდ, შვებულებაში გაუშვეს, მაგრამ უცნობია, მიიღო თუ არა მკურნალობისათვის საჭირო თანხა.

ნიკოს არც სახლი ჰქონდა, არც ახლობლები ჰყავდა. ამ ათი წლის განმავლობაში რკინიგზა იყო მისი თავშესაფარი და მთლიანად მცირე ხელფასა და რკინიგზის მოხელეებზე იყო დამოკიდებული. ავადმყოფობის გამო სამსახურიდან წასული იმედოვნებდა, რომ გამოჯვანმრთელების შემდეგ კვლავ რკინიგზაში გააგრძელებდა სამსახურს, მაგრამ ასე არ მოხდა. უკან აღარ მიიღეს. დაავადებული ნიკო ელისავეტოპოლიდან თბილისში დაბრუნდა.

არ შეიძლება რაიმე კვალი არ დაეტოვებინა ამ ათ წელიწადს ნიკო ფიროსმანის ცხოვრებასა და მხატვრობაზე. ამის დასტურია მის კოლექციაში შემორჩენილი ორი ტილო: „კახეთის მატარებელი“ და „ბათუმი“.



კვერცის თუ პრე ჩვეულებიში სოლი კიგრს და უცეა მიმეაროვ თუ პრე ჰიმიორიანიას

როგორც გამოცემა წერს, კიბოს სიმსივნე, ეს არის კანდიდას განტოტვილი სოკო (საფუარას მსგავსი სოკო, რომელსაც გააჩნია პარაზიტარული ბუნება, ცოცხლობს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმიც; ძლიერი იმუნიტეტი არ აძლევს კანდიდას გავრცელების შესაძლებლობას, მაგრამ თუ ორგანიზმი დაუძლურდება, სოკო ვრცელდება მთელს სხეულში და ინვენს ავთვისებიან სწეულებებს).

აი, რას ამბობს მაიკ ლამბერტი, შენის კლინიკიდან, კანდიდას შესახებ: „სოკოები და განსაკუთრებით კანდიდა არსებობენ პატრონის სხეულის ხარჯზე. ამ ორგანიზმს, როგორც სხვა პარაზიტს, კვლავ წარმოებისთვის სჭირდება პატრონი. კანდიდას ცხოველმყოფელობის პროდუქტებია უძლურებენ იმუნურ სისტემას და საქმე იქამდე მიღის, რომ ადამიანი თავს ცუდად გრძნობს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქიკურადაც“.

ტულიო სიმონჩინი მიიჩნევს, რომ კიბო ეს არის კანდიდას განვრცობილი სოკო და რომ კიბოს ტრადიციულიგანმარტება სრულიად არასწორია. როგორც ონკოლოგიისა და მეტაბოლური დარღვევების სპეციალისტი, ტულიოსიმონჩინი წავიდა ტრადიციული მედიცინის ინტელექტუალური კონფორმიზმის წინააღმდეგ, კიბოს გლობალური ეპიდემიის ტრადიციული მეთოდებით „მკურნალობის“ წინააღმდეგ. მან გადაწყვიტა სიმართლე ეთქვა თავისი პაციენტებისთვის და არ ელაპარაკა მათთან სამედიცინო ინსტიტუტში დაზუთხული ფრაზებით.

იმ დღიდან მოყოლებული, რაც სიმონჩინი სწავლობს მედიცინას, ის მიხვდა, რომ კიბოს მკურნალობენ არასწორად: „მე ვხედავდი როგორ იტანჯებოდნენ ადამიანები. ბაგშვთა ონკოლოგიურ განყოფილებებში, სადაც მე ვმუშაობდი, ყველა პატარა კვდებოდა. ამ უმნეო და ქიმიოთერაპიითა და რადიაციით დასხივებულ ადამიანთა შემხედვარეს გული მეკუმშებოდა“. პაციენტთა დახმარების სურვილმა მიიყვანა ის ამდაავადების ახალი გზების ძიებამდე. სიმონჩინიმ უარყო ყოველივე რაც კი იცოდა ონკოლოგიის შესახებ და დაიწყო საკუთარი, დამოუკიდებელი გამოკვლევა.

მან აღმოჩინა, რომ კიბოს ყველა სახეობა ერთნაირად ავლენდა თავს, დამოუკიდებლად იმისა, რომელ ორგანოში ან ქსოვილში ყალიბდებოდა სწეულება. ყველა სიმსივნური წარმონაქმნი იყო თეთრი ფერის. სიმონჩინიმ დაიწყო იმაზე ფიქრი თუ რას წააგავს კიბოს სიმსივნე. კანდიდას სოკოს? ნუთუ ის, რასაც ტრადიციული მედიცინა უჯრედების დაყოფის გაუკონტროლებელ პროცესად მიიჩნევს,

სინამდვილეში არის თვითორგანიზმის მიერ კანდიდოზისგან (რძიანასგან) თავდაცვის მექანიზმის გამოვლენა?

კანდიდას სოკო, რომელსაც ჩვეულებისამებრ აკონტროლებს ძლიერი იმუნიტეტი, გამრავლებას იწყებს დაუძლურებულ ორგანიზმში და წარმოქმნის თავისებურ „კოლონიას“. როდესაც რომელიმე ორგანო რძიანათი დასნებოვნდება, იმუნიტეტი ცდილობს დაიცვას ორგანო უცხო ელემენტთა შემოჭრისგან. იმუნური უჯრედები წარმოქმნიან დამცავ ბარიერს ორგანიზმის უჯრედებისგან. სწორედ ამას უწოდებს კიბოს ტრადიციული მედიცინა.

მიიჩნევა, რომ ორგანიზმში მეტასტაზების გავრცელება ეს არის „ავთვისებიანი“ უჯრედების განვრცობა ორგანოებსა და ქსოვილებში. მაგრამ სიმონჩი ამტკიცებს, რომ მეტასტაზები ორგანიზმში კანდიდას სოკოს გავრცელებით არის გამოწვეული. სოკოები კი ანადგურებენ მხოლოდ ნორმალურად ფუნქციონირებადი იმუნიტეტის უჯრედებს. იმუნური სისტემა - აი კიბოსგან განკურნების გასაღები.

კიბოთი დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ხომ არ არის ეს კარგად დაგეგმილი ომი ადამიანის იმუნური სისტემის წინააღმდეგ, ომი, რომელიც სულ უფრო და უფრო სასტიკი და დაუწყობელი ხდება?

იმუნიტეტს აუძლურებს: კვების პროდუქტების ზოგიერთისახეობა, საკვებიდანამატები, პესტიციდები და პერბიციდები, ვაქცინაციები, ელექტრომაგნიტური და მიკროტალდური ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პრეპარატები, თანამედროვე ცხოვრებისეული სტრესები და სხვა.

ორ წლამდე პატარებს უკეთდება 25-მდე სხვადასხვა სახის აცრა. არადა სწორედ ამ დროს ყალიბდება ადამიანის იმუნიტეტი!

რა აუძლურებს იმუნიტეტს ყველაზე მეტად? ქიმიოთერაპია. დაუმატეთ ამას კიდევ რადიოთერაპია.



მკურნალი

სადღეისოდ, ესენი ორგანიზმის უჯრედთა განადგურების ყველაზე ქმედით მეთოდებს.

ყველაზე თანამედროვე და „მკურნალობის“ საყოველთაოდ აღიარებული მეთოდი ეყრდნობა პოსტულატს(პოსტულატი) - მდგომარეობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ჭეშმარიტებად მიიჩნევათ ეროვნული ან პრაქტიკული აუცილებლობის გამო), რომ კიბოს უჯრედები პაციენტის ჯანმრთელ უჯრედებზეადრე ნადგურდება. ქიმიოთერაპიის შხამიანი შენაერთები კლავენ იმუნური სისტემის უჯრედებს. მაგრამ თვითკანდიდა იქვე რჩება და არ ქრება.

იმუნური სისტემის ნაფლეთებს ძალა არ შესწევთ წინააღმდეგობა გაუწიონ კანდიდას უჯრედებს. სოკო მოედებასხვა ორგანოებსა და ქსოვილებს. კიბო თანდათანობით ასნებოვნებს მოელს ორგანიზმს. მათ, ვინც თითქოსდაგამოჯავანმრთელდნენ ქირურგული ჩარევისა და ქიმიოთერაპიის შედეგად, სინამდვილეში საკუთარ ორგანიზმშიჩაინერგეს საათის მექანიზმზე მომართული ბომბი.

იმუნიტეტი განადგურებულია. რეციდივების გამოჩენა კი, ასეთ შემთხვევაში, დროის საკუთხია. სხვა სიტყვებითომ ვთქვათ: ქიმიოთერაპია, რომელიც თითქოსდა უნდა კურნავდეს ადამიანს, სინამდვილეში კლავს მას.

ქიმიოთერაპია კურნავს მხოლოდ ინფექციურ დაავადებებს, რომლებიც ადამიანს სასქესოორგანოთა გზითგადაედება. ხოლო იმისთვის, რათა ადამიანი განიკურნოს კიბოსგან, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ იმუნიტეტი, და არაპირიქით, - დავაუძლუროთ იგი.

როდესაც სიმონჩინი მიხვდა, რომ კიბოს აქვს სოკოვანი ბუნება, მან დაინტერესული ფუნგიციდის ძიება. მაგრამსნორედ მაშინ გახდა მისთვის ცხადი, რომ აქ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები არ მოქმედებენ. კანდიდასწრაფად იცვლება და იმდენად ეგუება ამ პრეპარატებს, რომ მათი იკვეება კიდეც.

დარჩა მხოლოდ ძველთაძველი, დროით გამოცდილი, იაფი და ყველასთვის ხელმისაწვდომი საშუალება -ნატრიუმის ბიკარბონატი. ეს არის საკვები სოდის ძირითადი ინგრედიენტი. რატომდაც სოკოს არ შეუძლიანატრიუმის ბიკარბონატისადმი ადაპტირება. სიმონჩინის პაციენტები სვამენ სოდის სსნარს ან ნატრიუმის ბიკარბონატი პირდაპირ შეჰქავთ სიმსივნეში სპეციალური მოწყობილობის დახმარებით, რომელიც ენდოსკოპს(გრძელი მილი, რომელსაც შინაგანი ორგანოების დასათვალიერებლად იყენებენ) მოგვაგონებს.

ეს ექიმი სასწაულებს ახდენს და კურნავს ყველაზე მძიმე ონკოლოგიურ შემთხვევებს უბრალო



დაიაფი პრეპარატით - ნატრიუმის ბიკარბონატით. ზოგიერთ

შემთხვევაში პროცედურები გრძელდებათვეობით, ზოგიერთ (მაგალითად, მკერდის კიბოს) შემთხვევაში კი - მხოლოდ რამდენიმე დღებშირად სიმონჩინი უბრალოდ ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით უყვება ადამიანებს, თუ რაუნდა გააკეთონ. ზოგიერთის მკურნალობას პირადადაც კი არ ესწრება და მაინც, შედეგი არისგანმაცვიფრებელი.

კიდევ კარგი, „შეშლილი“ სიმონჩინი აგრძელებს

ადამიანთა მკურნალობას, რადგან, მსოფლიოში მიღიონობით „ნორმალური“ პაციენტი კვდება არასწორი მკურნალობის შედეგად, რომელიც, თავის მხრივ, არასწორ პოსტულატსეფუძნება.

თუ სიმსივნე 4-5 სანტიმეტრზე დიდია, მაგ შემთხვევაში ხმირად საჭიროა ქირურგიული ჩარევა (მხოლოდსიმსივნეს კვეთენ, ორგანოებს ადგილზე ტოვებენ) და ოპერაციამდე და ოპერაციის შემდეგ სოდიუმისბიკარბონატით ახდენენ ადგილის სტერილიზებას, შემდეგ კი ტოვებენ კათეტერს ოპერაციის ადგილას, რათაჩატარდეს გამორჩევები ბიკარბონატით - ყოველდღე, დაახლოებით 2 კვირიდან 1 თვემდე (ალბათ საჭიროებისმიხედვით).

არავითარი ქიმიოთერაპია ან რადიოთერაპია არ არის მიზანშეწონილი, და სიმონჩინი გირჩევთ რომ თავიაარიდოთ მსგავს „მკურნალობას“ სიმონჩინი ის იყენებს საჭმელ სოდას (არა მარტო სიმონჩინი, სხვა მეცნიერებიცამ გზით მიდიან) რაც მუავე გარემოს ცვლის ტუტე გარემოთი, სადაც კიბოს უჯრედებს უჭირთ გავრცელება, „კიბო“ ნამდვილად სოკოვანი ინფექციის ნაირსახეობაა, რაც იმით დასტურდება, რომ მასზე სოდიუმისბიკარბონატი - სოკოს საწინააღმდეგო ყველაზე მძლავრი ნივთიერება მოქმედებს. იმუნურ სისტემას რაცეცებება-ო, ამბობს სიმონჩინი, ეს ტერმინი მეტაფიზიკური მნიშვნელობის მქონე არ არის და არასწორედგამოიყენება ექიმების მიერო - იმიტომ, რომ იმუნური სისტემა არის ის, თუ როგორ გრძნობთ თავს, სხეულისსუბსტანცია, თქვენი ენერგია, გონება - ამებისგან განცალკევებული იმუნური სისტემა არ არსებობს.

ქიმიოთერაპიასა და რადიაციას რაც შეეხება - ეგეთი „თერაპია“ სპობს ორგანიზმის დაცვით რეაქციას კანდიდაზე, ამგვარად, კიბოს კი არ მკურნალობს, მხოლოდ დაცვით რეაქციას აჩერებს ცოტა ხნით. ასე რომ, ვერანაირი ქიმიოთერაპია და რადიაცია კიბოს ვერ განკურნავს - იმიტომ რომ ეგენი დაცვითი რეაქციის მოხსნაზეამიმართული, და არა თვითონ ინფექციის მკურნალობაზე.

„ნინო რეზაუშვილის გამომცემობა“
 უახლოეს მომავარში გეგმავს წიგნის გამოცემას
 „სამეგრელოს კიტეშესანიშნაობები“,
 რის გამოცემის გამოცემობაზე დაინტერეს
 მასარების შეგროვება, რომელის მცირე ნახირსაც ყოველ
 წომერში შემოგთავაზებით.
 წიგნში შევა არა მარტო გამოქვეყნებული, არამედ ჩრუმის
 უკნობი მასარები.



რეზაუშვილის ავტორის რაოდი კიკორეშვილი



**ახალციხის ახალდაბის
მთავარანგელოზი**

ჭკადუაში მდებარეობს ზუგდიდის რაიონში. სოფელში, შემაღლებულ ბორცვზე დგას მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და სამრეკლო. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, რომელიც ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის დუღაბით, ალაგ-ალაგ შერეული იყო ადგილობრივი აგური. დღეს ძეგლი პერანგშემოცლილისახითაა შემორჩენილი, სახურავიჩამოქცეულია. შესასვლელი კარი სამი მხრიდანაა: სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ეკლესის თანადროულია მის გვერდით მდგარი ორსართულიანი სამრეკლო. მართალია ეკლესის წარწერები არ შემოუნახავს, მაგრამ იგი წერილობით წყაროებში არაერთხელ იხსენიება. არსებობს სამეცნიეროს სამთავროს მსაჯულთუხუცესის ნიკოლოზ დადიანის ხელნაწერი დღიური, სადაც წერია: „ახალდაბის ეკლესის შენება დავინყე წელს 1824 -ს, ივნისის 4“.

ცხადია, ეკლესია უფრო ძველია, მაგრამ აქ, ალბათ, ეკლესის აღდგენაზეა ლაპარაკი.

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება ჭკადუაშის ახალდაბის მთავარანგელოზ მიქაელის ხატის წარწერა: „ქ. მიხაილ მთავარი ანგელოსთაო, მინდობილმან და მსასოებელმან სახისა შენისამან ტაძრისავე შენისა ახალდაბის დეკანოზმან ზოსიმე მღვდელმან ალშიბოვმან, საკუთრითა საფასითა, ჩემითა მოვაჭედვინე და შევამკევ ხატი ესეს სენი, სინაგან ქელითა ჭეშმარიტითია და გარემ ოქროითა და პატიოსნითა თვალმარგალიტითა, საოხად ამლზრდელისა ჩემისა ნიკოლაოზ პირველის დადიანოვისა. სამებაო ღმერთი მთავარ შეინირე ხატი ესევითა მწვლილი დედაკაციისა მის სულთქმა მეზვერისა და ცრემლი მხერვალენი მართას და მარიამისნი და ჩვენ ორთა ერთა ხორცთა ზოსიმეს და მეუღლეს ჩემსა მარტვირის დეკანოზის ასულსა ალათის მოგვანიჭე ბრალთა სენდობა ფ-ა პეტრეს, და მ-ხე სინანულსა მასსა ჩევენდაცა მიდევა ყავ იდეს მოხვიდე სუფევითა შენითა განსჯად ცხოველთა და მკვდართა ჩულე სა წელსა სეკნდებრის ა“.

ზუგდიდის კამინდეები



ზუგდიდის
კამინდეები

ზუგდიდის კვირაცხოვლბის სახელობის ტაძარი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ე.წ. „მანცხვარკარიშ სუკიას“ გორაზე, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა მას „მანცხვარკარიშ“ ეკლესიას უწოდებს. იგი ქალაქის ერთგვარ სიმბოლოდაც არის ქცეული.

ისტორიულ წყაროებში ტაძარი პირველად XIV საუკუნეში იხსენიება, თუმცა ტაძრის აღმშენებლის ვინაობა არ არის ცნობილი.

კომპლექსი შედგება ტაძრის, სამრეკლოსა და გალავნისაგან. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლისთვისაც მოგვიანებით, 1874 წელს, რუსეთის ეგზარხოსის მოღვაწეობის პერიოდში მიუშენებიათ დამხმარე შენობები, სამრეკლო და სტოა.

ტაძარი თავდაპირველად წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული. იმ გორაზე, სადაც ეს ტაძარია აშენებული გადმოცემით კიდევ ორი წმინდა გიორგის ტაძარი მდგარა. 80-იანიწლებიდან ტაძარშიაღდგა ლვის მსახურება. 1997 წელს ტაძრის კედლები მთლიანად დაიფარა ფრესკებით (მხატვრები: დავით ხიდეშელი, დემეტრე ყურაძელი).



ხაცერი

ხეცერის ეკლესია მდებარეობს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში, სასაფლაოზე, უბან ხეცერაში, ეკლესის სახელწოდებაც სწორედ აქედან მომდინარეობს. მას ადგილობრივი მოსახლეობა „გვათუების ნაოხვამუს“ უწოდებს.

ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა. მისი ზომებია: სიგრძე 12,27 მ., სიგანე 7, 48 მ., სიმაღლე 8 მ.. სახურავი ჩაქცეულია. შესასვლელი სამი მხრიდანაა: სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. აღმოსავლეთით მომრგვალებული აფსიდი აქვს. ეკლესია ნაგებია რიყისა და თლილი ქვით, კედლები ჩართულა ჩუქურთმიანი და რელიეფური ქვები სხვადასხვა სიუჟეტური სცენებით. შიგნით კედლებზე შეინიშნება მოხატულობის ფრაგმენტები, ერთგან კი ასომთავრული ნარწერაც იკითხება.

ტაძარი თავის არქიტექტურით ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც, სამწუხაროდ მეცნიერულად არ არის შესწავლილი.



სუჯუნი

სუჯუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მდებარეობს აბაშის რაიონში. იგი წარმოადგენს მოზრდილი ზომის გუმბათოვან ნაგებობას, რომლის ზომებია: სიგრძე 21 მ., სიგანე 14 მ. ტაძარი მართალია ძველი ხუროთმოძღვრების ძეგლებს არქიტექტურული თვალსაზრისით ვერ შეეძრება, მაგრამ გვიანი პერიოდისათვის დამახსასიათებელი ფასადების დეკორაციული გაფორმებით გამოირჩევა. ტაძარს სამშენებლო წარწერა არ გააჩნია. არსებობს ცნობა ეკლესიის X-XI საუკუნეებზე მიკუთვნების შესახებ, თუმცა დღევანდელი ტაძრის არქიტექტურა ამის არავითარ საფუძველს არ იძლევა; შესაძლოა იგი აგებული იყოს ძველი ეკლესიის ნანგრევებზე.

სუჯუნა ჭყონდიდელთა საზამთრო რეზიდენციას წარმოადგენდა. გიორგობა დღეს აქ დიდალი მოწმუნები იკრიბებოდნენ, რადგანაც ეკლესიაში ყოფილან ქადაგნი; ისინი წინასწარმეტყველებდნენ მომავალს. სუჯუნელი ქადაგნი დიდად სახელგანთმული ყოფილან. უკანასკნელი მათგანი 1920 წელს გარდაცვლილა.



ჩხოროცხუს მუნიციპალიტეტს დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა. ამ დღესთან დაკავშირებით დაბის ცენტრში მაშტაბური ღონისძიება „ჩხოროცხუობა“ გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში დაგეგმილი იყო სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ორგანიზატორებმა სპორტულ შეჯიბრებებში პრიორიტეტი ძველქართულ თამაშობებს მიანიჭეს. მსურველები ერთმანეთს საჯილდაო ქვის აწევაში, ქართულ ჭიდაობაში, ხალხურ თამაშობა „ლახტში“ და ბაგირის გადაძალვაში შეეჯიბრნენ.

მუნიციპალიტეტის ცენტრში მეგრული ფაცხები იდგა, სადაც ტრადიციული კუთხური კერძები მომზადდა. ჩხოროცხუს მუნიციპალიტეტის ცამეტივე თემს, საჯარო სკოლებს და საბავშვო ბალებს საკუთარი კუთხე ქონდათ მოწყობილი, სადაც მეგრულ კერძებთან ერთად, რეწვის ნიმუშები და ხელნაკეთი ნივთები იყო გამოფენილი გამოფენილი.

მუნიციპალიტეტში სტუმრად იყვნენ სხვა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ-პირები. ღონისძიების დასასრულს გაიმართა გალა კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ სოფო ბედია და აჩიკო ნიუარაძე.



01 ՀԵՆՐԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

02 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

03 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

04 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

05 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

06 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

07 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

08 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

09 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

10 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

11 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

12 ՀԱՅՐԵՆԻԿԸ						
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

